სახალხო განათლება+

„ქვეყნად არცერთი ბრძენი არ იყო, მასწავლებელი არა ჰყოლოდა“.
იოსებ ნონეშვილი

№ 10 (4549) • 10 მაისი • 2017 წელი • • • • • გაზეთი გამოდის ოთხშაბათობით • ფასი 1 ლარი •

ადამიანი თავის ადგილზე

ლალი მასწავლებლის „ოქროს გასაღები“

მაინც რა არის პედაგოგიკის, პედაგოგის მოღვაწეობის უპირველესი საფუძველი? ალბათ, ბავშვების გულებისაკენ მიმავალი ბილიკის გაკვალვა, ისეთი „ოქროს გასაღების“ გამონახვა, ყმაწვილების ნიჭსა და უნარს, მიდრეკილებებს რომ წარმოაჩენს და განავითარებს.

არამ ხაჩატურიანის სახელობის თბილისის ხელოვნების მე-10 სკოლის ფორტეპიანოს პედაგოგს ქალბატონ **ლალი ესიტაშვილს** ასეთი იმდენი გასაღები აქვს, რამდენი მოსწავლეც ჰყოლია და ჰყავს. მისი მიზანია, გამოამზეურეს, სათუთად ამოაწვდინოს ყოველი ბავშვის შინაგანი ბუნებიდან ღვთით ბოძებული, მაგრამ თავად ყმაწვილისათვისაც ჯერაც გაუცნობიერებული ნიჭი, სწრაფვა და, სწორ კალაპოტში ჩაყენებული, ნაბიჯ-ნაბიჯ ატაროს კლასიკური მუსიკის ჯადოსნური სამყაროს რთულ, ეკლიან, მაგრამ უზომოდ მადლიან და აღმაფრენ გზაზე.

ახლის ძიება, მრავალწლიან გამოცდილებაზე დაფუძნებული გონივრული სითამამე – ეძიებს და ჰპოვებს თუნდაც ნაკლებად ცნობილ ნაწარმოებებს და ბავშვებს სთავაზობს, თუ დარწმუნებულია, რომ სწორედ ის შეესაბამება ყველაზე მეტად აღსაზრდელის შინაგან ბუნებას, შესრულების მისეულ მანერასა და ტექნიკას.

ქალბატონ ლალის სწამს – აუცილებელია, ყმაწვილი დაფუძნდეს, საიდანაც ამოზრდილა – ეროვნებასა და ეროვნულობაზე. ჯერ თავისი, მშობლიური შეიგრძნოს, შეიყვაროს, დააფასოს და მერმე ამ მტკიცე ბალავარიდან ეზიაროს მსოფლიო კლასიკის საოცრებებს.

თუ ბავშვების სიხარულით არ ხარობ, მათი სატკივარი არ გტკივა, ვერაფერიშვილი პედაგოგი იქნები. მასწავლებელი მხოლოდ გერქმევა – თანამდებობრივად, მაგრამ – არსობრივად?

ლალი ესიტაშვილი ერთობ ტაქტიანად, ყმაწვილების თავმოყვარეობის შეულახავად ეხმარება სოციალურად დაუცველი ოჯახებიდან გამოსულ აღსაზრდელებს: ხან კონცერტისათვის საჭირო თანხას გადაუხდის ხოლმე თავისი მწირი ხელფასიდან, ხან – საუზმეს მოუტანს – შინიდან ადრე გამოხვედი, საუზმობას ვერ მოასწრებდიო...

ხედავენ და აფასებენ ქალბატონ **ლალი ესიტაშვილის** ღვაწლს. მისი საკლასო ოთახის კედლები მოფენილია სიგელებით, დიპლომებით, სერთიფიკატებით. აგერ, სკოლის დირექტორის, კულტურის დამსახურებული მოღვაწის, ვისი ხელმძღვანელობითაც სკოლამ ერთობ თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწია, ბატონ **ტარიელ ბერაძის** ოფიციალური მადლობის სიგელიც. კარგია, როცა გაფასებენ შინ თუ გარეთ და **ლალი ესიტაშვილისათვის** ამას წინათ **„წლის საუკეთესო პედაგოგის“** წოდების მინიჭებაც, რაც რჩეულთა ხვედრია, ზემოთქმულის კიდევ ერთი დასტურია.

ქალბატონმა ლალიმ 1981 წელს დაამთავრა კონსერვატორია ფორტეპიანოს კლასით. ჯერ თბილისის 152-ე საჯარო სკოლის მუსიკალურ სტუდიაში მუშაობდა მეთოდისტად. ამ სკოლაში კი 1992 წლიდანაა.

ყოველი პედაგოგის შრომის ხარისხის განმსაზღვრელი აღზრდილთა ხარისხიანობაა. ამიტომ დავაკონკრეტოთ პედაგოგის წარმატებულობის ბოლო რამდენიმე წლის „საზომი“. 2015, 2016, 2017 წლებში კონკურს **„ნორჩ ვირტუოზებში“ ნიკა დავითაშვილმა** სამჯერვე გაიმარჯვა, **ელენე თანიაშვილი** მესამე იყო; **მერაბ სეფაშვილმა** დიპლომი დაიმსახურა; კონკურსში – **„გზა ხელოვნებისაკენ“** – **მინადორა ნარსიამ** ქართული მუსიკის საუკეთესო შესრულებისთვის დიპლომი მიიღო – ორჯერ. ასევე წარმატებული გახლდათ **მარიამ ბეკურიშვილი**; VIII რესპუბლიკურ და IV საერთაშორისო კონკურს-ფესტივალზე **ნიკა დავითაშვილმა** ნომინაციაში – **„თანამედროვე ქართველი კომპოზიტორის ნაწარმოები“ – საუკეთესო შემსრულებლის“** წოდება მოიპოვა. **„ნორჩ ვირტუოზებში“** პირველადგილოსანი გახდნენ – **ნინო რევაზიშვილი** და ისევ **ნიკა დავითაშვილი** 2017 წელს, კატეგორიების მიხედვით, ანსამბლურ შესრულებაში ყველას აჯობეს **ნინო რევაზიშვილმა** და **ელენე თანიაშვილმა**.

ქალბატონი ლალის 3 შვილი და 4 შვილიშვილი, შეიძლება ითქვას, მუსიკასთან ერთად იზრდებოდა და იზრდება. შვილებმა სხვა გზა ირჩიეს, შვილიშვილებზე ჯერ ვერაფერს ვიტყვით, მაგრამ რა სპეციალობაც უნდა აირჩიონ, მუსიკის ხიბლი, მისი კეთილისმყოფელი გავლენა მუდამ მათთან იქნება.

ალბათ, არც პედაგოგის ყველა აღსაზრდელი გახდება მუსიკოსი, მაგრამ მათაც იგივე ხიბლი გაჰყვებათ **ლალი ესიტაშვილის** გულის სითბოსთან ერთად.

მარიამ ხატიაშვილი

„ო, ენავ, ჩემო!“

დედაენის დღე თელეთის სკოლაში

თელეთის საჯარო სკოლის მეოთხეკლასელებმა ეროვნულ დღესასწაულს – **დედაენის დღეს** ლამაზი ღონისძიება მიუძღვნეს.

ღონისძიების ფარგლებში მოსწავლეებმა სხვადასხვა ქორეოგრაფიული, ლიტერატურული თუ მუსიკალური ნომრები შეასრულეს. აგრეთვე ჩატარდა ამ დღისადმი მიძღვნილი კონკურსი ქართულ ენაში, რომელიც სამ ეტაპად გაიმართა. სხვადასხვა ნომინაციაში გამოვლინდნენ გამარჯვებულები. **„მოსწავლეთა გონებაგახსნილობამ, საშემსრულებლო ხელოვნებამ, აქტიურობამ, გუნდურობამ** და **კლასის დამრიგებლის მუხლჩაუხრელმა შრომამ საუკეთესო შედეგი გამოიღო“**, – ასე შეაფასა ღონისძიება სკოლის დირექტორმა **ნინო მერაბიშვილმა**. ქართული ენის, ლიტერატურისა და დაწყებითი კლასების კათედრის წევრებმა, ღონისძიებას მაღალი შეფასება მისცეს და თბილი სიტყვები არ დაიშურეს ღონისძიების ავტორის, კლასის დამრიგებელის **ირმა ასლამაზიშვილის** მიმართ.

„– დღეს, როგორც არასდროს, ისე სჭირდება საქართველოს ყოველმხრივ განათლებული, დიდი ცოდნით აღჭურვილი, ერის წყლულის მკურნალი მონაგარი! დღევანდელი ღონისძიების მთავარი მიზანი ქართული ენის დაცვა, პოპულარიზაცია, ქართული ენისა და კულტურისადმი ინტერესის გაზრდა, **ქართულ ენაზე წერითი და ზეპირმეტყველების კულტურის**

გამომუშავება გახლდათ.. მოსწავლეები გაეცნენ ქართული ენის ისტორიას, გააცნობიერეს, რა საფრთხის წინაშე იდგა ქართული ენა და როგორ მოიტანეს წინაპრებმა ჩვენამდე ეს უდიდესი ეროვნული საგანძური. მოსწავლეებმა ბევრი იშრომეს, იაქტიურეს და სკოლის დირექტორისა და დამსწრე საზოგადოების კომპლიმენტები დაიმსახურეს, – აღნიშა ჩვენთან საუბარში კლასის დამრიგებელმა **ირმა ასლამაზიშვილმა**.

დედაენისთვის ზრუნვა ერთჯერადი აქტი არ უნდა იყოს. მის დაცვას მუდმივი ძალისხმევა სჭირდება.

ირმა მეგობონია

თბილისის 150-ე ბაგა-ბაღი — ევროპული სტანდარტების რელსებზე

ცეროდენათა სამყაროს წარმატების საიდუმლო

„სოლოლაკის ბაღი“ – ასე იცნობენ 150-ე ბაგა-ბაღს, რომელიც დედაქალაქის ერთ-ერთ ძველ უბანში მდებარეობს, საკმაოდ სახელოვანი ისტორია აქვს და ტრადიციულ საბავშვო დაწესებულებად ითვლება. იგი პატარებისათვის საყვარელი ადგილია. აქ მათთვის ყველა პირობაა შექმნილი, რათა თავი ოჯახურ გარემოში იგრძნონ.

ბაღის ეზო გამწვანებული და მოპირკეთებულია. დამონტაჟებულია სხვადასხვა სათამაშოები

და ატრაქციონები; უახლოეს მომავალში კი, ბაგა-ბაღების სააგენტოს ხელშეწყობით, ეზოს სრული რეკონსტრუქცია და შენობის გარე პერიმეტრისა და ფასადის განახლება იგეგმება.

ბაგა-ბაღში შესვლისთანავე ყურადღებას იპყრობს განსაკუთრებული სისუფთავე და წესრიგი. დერეფნებსა და ოთახებს, პატარებისა და მათი აღმზრდელების ერთობლივი ნამუშევრები ამშვენებს. ინფრასტრუქტურა მოწესრიგებულია; წლების წინ დამონტაჟებული თბილი წყლისა და ცენტრალური გათბობის სისტემა მუშა მდგომარეობაშია, მაგრამ ზაფხულში მისი განახლება იგეგმება. ბაღი აღჭურვილია თანამედროვე ინვენტარით, საჭირო მეთოდური და საბავშვო ლიტერატურით. მშობლები კმაყოფილებას ვერ ფარავენ.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა, რაც თანამედროვე სტანდარტებს შეესაბამება. ბაღი მაღალკვალიფიციური კადრებით არის დაკომპლექტებული. ისინი მუხლჩაუხრელად იღვწიან იმისთვის, რომ პატარებს შინაარსიანად გაატარებინონ სკოლამდელი ასაკი. ფეხს უწყობენ ქალაქის ბაგა-ბაღებში მიმდინარე რეფორმებს. ამ მიზნით კი, სისტემატურად ახორციელებენ სხვადასხვა პროექტებს. განსაკუთრებით ზრუნავენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პატარებზე. ყურადღებას იქცევს ბაღის ცხოვრებაში **„მშობელთა კლუბის“** საქმიანობა. მშობელთა სოციოლოგიური კვლევების ანალიზისა და მათი აზრის გათვალისწინებით ხდება ყველა მნიშვნელოვანი საკითხის გადაწყვეტა.

აქ ბაღის აღსაზრდელები იძენენ ისეთ უნარ-ჩვევებს, რომელიც საბაზისოა მათი მომავალი სრულფასოვანი პიროვნების ჩამოყალიბებისათვის. კერძოდ, ბაგა-ბაღში წარმატებით ფუნქციონირებს **„სასკოლო მზაობის პროგრამა“**. პატარებს ასწავლიან ზრდილობას, უფროსებთან და ბებია-ბაბუებთან ურთიერთობას, წინაპრების პატივისცემას, ტრადიციებს, ისტორიის დაფასებას, სამშობლოს სიყვარულს. ბავშვებს ესაუბრებიან ეთიკაზე, გარემოს დაცვაზე და ეკოლოგიაზე. ბაღი მუშაობს გუნდური პრინციპით. დირექციის ინიციატივით ხშირად ეწყობა თანამშრომლების შიდა დარგობრივი ტრენინგები. მუშავდება სწავლების მეთოდიკა, ყოველი სიახლე და მეცადინეობა თითოეულ ბავშვზეა მორგებული. შემეცნებითი განვითარების თემატიკა კი მრავალფეროვანია. ნებისმიერ თემას ღრმად და საფუძვლიანად ეცნობიან. დიდი ყურადღება ექცევა შემოქმედებითი უნარების და ბავშვების ხელოვნებისადმი სიყვარულის განვითარებას. ხშირად ეწყობა სხვადასხვა დღესასწაულები და შინაარსობრივად დატვირთული გასვლითი ღონისძიებები: დიდ სპორტულ დარბაზებში, პანთეონებში, მთაწმინდის პარკში, საგამოფენო სივრცეებში.

150-ე ბაღში ჩვენი სტუმრობა ეკოლოგიის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებას დაემთხვა. ბავშვები აღმზრდელებთან ერთად ბაღის ეზოში ნაირ-ნაირ ყვავილებს რგავდნენ. პარალელურად ჯგუფებში, სერიოზული მზადება მიმდინარეობდა სააგენტოს მიერ გამოცხადებულ კონკურსში –**„პატარა ხელები“** მონაწილეობის მისაღებად. პატარებმა არა ერთი საინტერესო ნამუშევარი გვიჩვენეს. ხშირად ეწყობა თემატური შეხვედრები, სპორტული ღონისძიებები, ტარდება თეატრის კვირეულები, ფუნქციონირებს ,,თოჯინების თეატრი''. ბავშვების მონაწილეობით იდგმება საინტერესო სპექტაკლები, რომლის სცენარებიც საგანგებოდ მზადდება და მეთოდისტის, ფსიქოლოგისა და დირექტორის ჩართულობით იღებს საბოლოო სახეს.

ჩვენი გაზეთის მკითხველი კარგად იცნობს 150-ე ბაგა-ბაღის დირექტორს **მზია მეტრეველს**. იგი არაერთხელ ყოფილა ჩვენი სტუმარი. იშვიათად შემხვედრია ისეთი ენერგიული და თავის საქმეზე ფანატიკურად შეყვარებული ადამიანი, როგორიც ქალბატონი მზია გახლავთ. საბავშვო ბაღი მისი მეორე ოჯახია და საკუთარი შვილივით უყვარს თითოეული აღსაზრდელი. იგი, ყოველ დილით, ბაღის შესასვლელში ღიმილით ეგებება თითოეულ მშობელს და პატარას, დიდ სითბოსა და სიყვარულს გამოხატავს მათ მიმართ.

ქალბატონი მზია დიდი ავტორიტეტით სარგებლობს არამარტო თავის თანამშრომლებში, არამედ სკოლამდელი აღზრდის სისტემაში. მის საქმიანობას იცნობენ და აფასებენ. იგი 2007 წლიდან ჩაუდგა ბაღს სათავეში, სადაც საკონკურსო წესით გადმოინაცვლა დედაქალაქის საკრებულოს აპარატიდან. მანამდე კი, არაერთ თანამდებობრივ პოზიციებზე მუშაობდა. განვლილ წლებში ბაღში ბევრი სასიკეთო საქმე გაკეთდა. მთავარ მიღწევად დირექტორს ბაღის შენობის შენარჩუნება მიაჩნია. წარმატებები მალე დაიწყო, წლიდან წლამდე ბავშვთა რაოდენობა 67-დან 250 აღსაზრდელამდე გაიზარდა.

მზია მეტრეველი: ჩემს შრომით ბიოგრაფიაში დღევანდელი თანამდებობა ყველაზე საპატიო და საპასუხისმგებლოა. საბავშვო ბაღი ჩემი ცხოვრების განუყოფელი ნაწილი და შრომითი ბიოგრაფიის გვირგვინია. ჩვენი ბაღი თავისი ისტორიისა და ტერიტორიული მდებარეობის გამო, ძალიან პოპულარული და მოთხოვნადია. ჩვენი აღზრდილები ძირითადად, პირველ კლასიკურ გიმნაზიაში, 47-ე და 50-ე სკოლაში სწავლობენ. ამ კედლებში არაერთი ღირსეული მამულიშვილი და ჩვენი საზოგადოების ცნობილი წარმომადგენელი აღიზარდა. ბაღში ყოველთვის მაღალკვალიფიციური კადრები მუშაობდნენ.მათ შექმნეს ამ ბაღის ისტორია. ქედს ვიხრით მათი დამსახურებისა და ღვაწლის წინაშე. ტრადიციებს ღირსეულად აგრძელებს ბაღის განახლებული კოლექტივი. მათი ძალისხმევით და ჩართულობით, არაერთი სიახლე დაინერგა როგორც საგანმანათლებლო, ასევე

კვების, ჯანდაცვისა და ჰიგიენის მიმართულებით. ფაქტია, რომ ბოლო პერიოდში, დედაქალაქის ბაგა-ბაღებში საქმე სულ უფრო წინ მიდის და შეიძლება ითქვას, რომ „მძივივით“ ეწყობა. დღითიდღე გეგმაზომიერად ვითარდება ინფრასტრუქტურა, ახალ შინაარს იძენს **აღმზრდელობითი მუშაობის მეთოდოლოგია** და **პრაქტიკა**. ბაღის მუშაობის წარმატებას განაპირობებს ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოსთან საქმიანი ურთიერთობები. ბატონი **თემურ თორდინავა** თავის კომპეტენტურ გუნდთან ერთად პრაქტიკულად არის ჩართული ბაგა-ბაღებში მიმდინარე პროცესებში, რისთვისაც იგი, უდავოდ, დიდ მადლობას და პატივისცემას იმსახურებს.

საგულისხმოა, რომ ბაგა-ბაღებში დღეს მოღვაწე ადამიანთა შრომითი უნარები, მინდობილი საქმისადმი მაღალი პასუხისმგებლობა და ცნობიერება ის ქვაკუთხედია, რომელიც საერთო წარმატების საფუძველს ქმნის. ეს ერთნაირად ეხება, როგორც ხელმძღვანელ რგოლს, ჩემს მოადგილე **ეკა ქავთარაძეს,** საგანმანათლებლო დარგის კოორდინატორ **ნინო ზაუტაშვილს,** საქმისმწარმოებელ **ლელა მაისურაძეს,** ბავშვთა კვებისა, ჯანმრთელობისა და ჰიგიენაზე მზრუნველ კოორდინატორებს **თამარ მახარაძესა** და **ფიქრია ჩირაძეს,** ფსიქოლოგ **მარიამ გვილავას**, მუსიკის პედაგოგს **ხათუნა გილაურს**, აღმზრდელებსა და მათ თანაშემწეებს, ყველას, რომელი ერთი ჩამოვთვალო ცალ-ცალკე და ყველა ერთად დიდ საქმეს ვემსახურებით; ბაგა-ბაღში არ არსებობს მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი რგოლი. ეს ერთიანი პროცესია და თითოეულმა თავისი სამსახურეობრივი ფუნქცია საუკეთესოდ უნდა შეასრულოს. ასეც არის, მადლობა მათ თანამშრომლობისათვის!

ქალბატონმა მზიამ მეგზურობა გამიწია და ბაღის თითოეული კუთხე-კუნჭული დამათვალიერებინა, აქ ყველგან იდეალური სისუფთავე და წესრიგია. თანამშრომლები კი თავიანთ მოვალეობებს შესანიშნავად და დიდი პასუხისმგებლობით ასრულებენ. პატარებს ოჯახურ გარემოს უქმნიან და ცხოვრებას ულამაზებენ. დარწმუნებული ვართ, აქაურ აღსაზრდელებს ბაღში მიღებული სითბო, სიყვარული და რჩევა-დარიგებები არასოდეს დაავიწყდებათ და ცხოვრების საგზლად გაყვებათ, ჩვენ კი მომავალ სტუმრობისას არაერთ წარმატებულ პროექტს გაგვაცნობენ.

მზია გოგოძე

***P.S.** გაზეთ „სახალხო განათლება+“-ის რედაქცია სახელოვან, მდიდარი ტრადიციების 150-ე ბაგა-ბაღს ახალი სიმაღლეების დაპყრობას, ხოლო ცეროდენების ამ ზღაპრული სამყაროს ყველა თანამშრომელს ზღვა სიხარულს უსურვებს.*

143-ე ბაგა-ბაღი მეტად პოპულარულია

მუდამ სიკეთე და სიყვარული დაგბედებოდეთ!

როდესაც 143-ე ბაგა-ბაღის ეზოში შევაბიჯე, ჩემი ყურადღება შემოქმედებითმა ფუსფუსმა მიიპყრო. აღმზრდელები და პატარები გარეთ გამოფენილიყვნენ და გაზაფხულის იმ მზიან დილას დედამიწის დღის აღნიშვნით ხვდებოდნენ. გარემოს დაცვის მხარდასაჭერ აქტივობაზე ბავშვები ლურჯი ბურთებითა და ვარსკვლავებით ხელში გვაცნობდნენ, როგორ დავიცვათ ჩვენი პლანეტა

და რომ **„დედამიწის დღე არის ყოველი დღე“**.

პედაგოგიური მიდგომა, ტაქტი, ბავშვებისადმი ერთგულება და სიყვარული – ყველაფერი ერთად დავინახე ქალბატონ **ირმა მაყიშვილის** პატარებთან ურთიერთობის დროს. ცეროდენები სულ მასთან ჩახუტებას ცდილობდნენ და რაოდენ გასაოცარიც არ უნდა იყოს, ქალბატონმა ირმამ ყველა მათგანის სახელი იცოდა. ამ ყველაფერმა, მის მიმართ, პირველივე წუთებიდან კეთილად განმაწყო.

ირმა მაყიშვილი პროფესიით ეკონომ-გეოგრაფია, მუშაობდა 114-ე საჯარო სკოლაში დირექტორის მოადგილედ და ეკონომიკის მასწავლებლად, შემდეგ სოციალური სუფსიდიების სააგენტოში და 2007 წლიდან კონკურსის წესით დანიშნული დირექტორია.

როგორც თავად აღნიშნავს, აქ კატასტროფული მდგომარეობა დახვდა და საშინელი პერიოდი გამოიარა. იყო დრო, როდესაც ბავშვებს თავიანთი ჭურჭელი და ყველა საჭირო ნივთი სახლიდან მოჰქონდათ. მუხლჩაუხრელი შრომის შედეგი კი სახეზეა – მოწესრიგდა ინფრასტრუქტურა, გარემონტდა სამი სააღმზრდელო ჯგუფი, დირექტორისა და ფსიქოლოგის კაბინეტები, გაკეთდა სველი წერტილი, კიბის უჯრედი, ეზოში დაიდგა ბავშვთა გასართობი სათამაშოები და საქანელები. ამჟამად, ბაღში 400-მდე აღსაზრდელია და 10 ჯგუფი, აქედან 2 **ბაგის** და 3 **სასკოლო მზაობის**.

ჯგუფებში არის მათემატიკის, ხელოვნების, კონსტრუქციული და დრამატული, წიგნიერების ცენტრები, სადაც შესაბამისი აქტივობები ტარდება. ცენტრებს ბავშვები სურვილის მიხედვით ირჩევენ. მაგალითად, ხელოვნების ცენტრში მაგნიტური ქვიშებით, ფანქრებითა და სახატავებით ერთობიან. თავიანთი საქმის პროფესიონალი აღმზრდელები: **ხათუნა ბაზიკიანი, ქეთევან ხარიტონაშვილი, ეკატერინე მუხიგული, ლარისა ხერკელიძე, ნინელი ზუბაშვილი, შორენა ფანჯარაშვილი, ნინო ჭოლარია, ეკა ლაგურაშვილი, თეა შაპოვა-**

ლოვი, თეონა ბახტურიძე, ოლღა ტურაშვილი და **ლალი ოსიაშვილი** ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით, იმდენად კარგად ახორციელებენ **სასკოლო მზაობის პროგრამას**, რომ, როგორც ქალბატონმა ირმამ აღნიშნა, სკოლის დირექტორებისგან არაერთხელ მიუღიათ მადლობა.

ბაღში ხშირად ტარდება აქტივობები, ღონისძიებები, ზეიმები, რომელთა დაგეგმვაში აქტიურ მონაწილეობას იღებენ საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორი **ქეთევან სუსუნიაშვილი**, დირექტორის მოადგილე **ნონა საღირაშვილი**, მუსიკისა და ცეკვის პედაგოგები – **ნანული ჯანუყაშვილი** და **მარგარიტა კიკაჩეიშვილი**. როგორც დირექტორმა აღნიშნა, ქალბატონი **ნანული** არის ყველა ღონისძიების მუსიკის, ტექსტისა და სცენარის ავტორი. ამჟამად, მუშაობენ აქტივობაზე – **„დედა-შვილობის სიყვარულს, ნეტავი რა შეედრება“**! ჩვენი თხოვნით, მუსიკის მასწავლებელმა და პატარებმა დარბაზში მცირე ნაწყვეტი განასახიერეს, აღსაზრდელმა **მარი ნოზაძემ** და აღმზრდელის თანაშემწეებმა – **მარინა ჯადუგიშვილმა** და **ეკა წიქარიშვილმა** კი გვიმღერეს.

აღსაზრდელებზე ზრუნვას დიდი ძალისხმევა და ყურადღება სჭირდება, სწორედ ამიტომ არის დასაფასებელი აღმზრდელის თანაშემწეების შრომა. ესენი არიან: **ლეილა ბერაია, ნინო დოლიძე, ნადეჟდა ჯლანტიაშვილი, ლალი ჩუბინიძე, ეკატერინე წიქარიშვილი, თეონა გუგეშაშვილი, მედიკო თოიძე, მარინა ჯადუგიშვილი, ნონა გურგენიშვილი, ტატიანა გვილავა, ნინო გენებაშვილი, ნინო ამირეზაშვილი, ქეთევან ფოცხვერაშვილი, ქეთევან ჩადუნელი, ეკატერინე მეცხოვრიშვილი, სუსანა ქარაია, ხათუნა ბუზალაძე, ლელა გულორდავა, ირმა ასანიძე.**

კვების ბლოკსა და ჰიგიენურ დაცვას კურირებს ჯანმრთელობისა და ჰიგიენური უზრუნველყოფის კოორდინატორი **ლელა ახალაია**, რომელიც ფსიქოლოგთან ერთად პატარების ჯანმრთელობაზეც ზრუნავს. ბავშვებთან ინდივიდუალური ურთიერთობების გარდა, ფსიქოლოგი **მაია კობახიძე**, ლოგოპედი **მაყვალა კობიძე** და სპეც. პედაგოგი **მაკა მანჯგალაძე** დიდ ყურადღებას უთმობენ სსმ ბავშვებს.

თავისი საქმის საუკეთესო სპეციალისტები არიან და ქალბატონ ირმას აქტიურად გვერდში უდგანან: საქმისმწარმოებელი **ნინო გვილავა**, საქმისმწარმოებლის დამხმარე **ხატია გორდეზიანი** და სამეურნეო ნაწილის კოორდინატორი **გულნაზ მუხიგულაშვილი**.

ბაღის სისუფთავესა და სანიტარულ მდგომარეობაზე ზრუნავენ დამლაგებლები: **რუსუდან**

სამხარაძე, ნათია ყანდორელაშვილი, დარეჯან თოდაძე, მარიამ გორგაძე, მანანა ჭიაბერაშვილი, მაია დოღუზაშვილი და მრეცხავები**: დალი მერებაშვილი, ეთერ მჭედლიძე, ნინო ფილიშვილი, მაკა ჭოლაძე, მანანა მეშველიშვილი**. მათი შრომის შედეგს მართლაც წუნს ვერ მისცემთ.

ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოდან სტანდარტული მენიუ მოდის, სადაც დაცულია კალორაჟი და მშობელს შეუძლია ყოველდღიურად გაეცნოს მას. მზარეული **მარიამ მერებაშვილი** და მზარეულის დამხმარეები – **ნათელა ჯობეიშვილი**, **დარეჯან სუსუნიაშვილი** კი ამ პროდუქტებით პატარებს უგემრიელეს კერძებს უმზადებენ.

ამ ბაღში თავის საქმეს ყველა კეთილსინდისიერად ასრულებს. დირექტორი მადლიერებით მოიხსენიებს ღამის დარაჯებს – **ოთარ ნადირაშვილს**, **ნური ჭოლარიასა** და მუშებს. **დავით მალანიას**, **ზურა სეფიაშვილს**.

გაზაფხული აქტივობებითა და ზეიმებით ყველაზე დატვირთული პერიოდია, მაგალითად, დედის დღისა და აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულისადმი მიძღვნილი აქტივობები, **„ორი რეზო“**, **„ჭუპა-ჭუპა“**, ჯგუფიდან ჯგუფში გადასაყვანი ღონისძიებები, განმავითარებელი და სპორტული თამაშობები და ბევრი სხვა. ბაღის დირექცია განსაკუთრებულად ემზადება საჩვენებელი ღონისძიებისთვის **„დედა-შვილობა“**, რომელიც 5-6 წლიანთა ჯგუფში მაისში გაიმართება.

უბნის მოსახლეობა, ცეროდენების მშობლები, ყველა თანამშრომელი ბაგა-ბაღისა, მადლობას უცხადებენ მერიას და ბაგა-ბაღების სააგენტოს უფროსს **თემურ თორდინავას** მათზე ზრუნვისათვის.

სკოლამდელი აღზრდის ამ დაწესებულებაში, სადაც პატარები მთელ დღეს ატარებენ, სიკეთე და სიყვარული ზეიმობს. ბავშვობა ნაკადულივითაა, სიკეთე კი არასდროს იკარგება. ვუსურვოთ, ქალბატონ ირმას, ყოველთვის ამ სიკეთის გზაზე ევლოს.

ნათია გურგენიძე

კერძო სკოლა – მუდმივი წინსვლის გზაზე

"ლამპარი" ხალხისა და ქვეყნის მსახურებისთვის გზას უნათებს აღსაზრდელებს

მაცხოვარი ამბობს, არავინ დგამს ანთებულ ლამპარს საწოლის ქვეშ, არამედ – გამოსაჩენ ადგილზე, რათა ადამიანებს გაუნათოსო.

თუ სკოლას **„ლამპარი“** ჰქვია, იგულისხმება პედაგოგთა კოლექტივის განზრახვა: მაქსიმალურად აღჭურვონ ცოდნით ყმაწვილები, ზნეკეთილად აღზარდონ და ასე გაუნათონ სავალი, რათა მათ ხალხს, ქვეყანას მოახმარონ თავისი ნათელი.

ასე კია? აღწევს მიზანს კერძო სკოლა **„ლამპარი“?**

საქმემ დაგვარწმუნოს: 2016-2017 სასწავლო წელს „სმარტის“ ოლიმპიადის ნომინაციებში: **რაციონალური ანალიზი, მეთოდოლოგიური შერჩევა, მიღწევადი, რელევანტური შეფასება, საუკეთესო მიგნება, მიზანმიმართული ლოგიკა, რაციონალური ანალიზი, კონკრეტული აზროვნება, სპეციფიკური აზროვნება, ტაქტიკური ხედვა**; საგნები: ქართული და ინგლისური ენები, მათემატიკა, სკოლის სხვადასხვა კლასის 11 მოსწავლე: **ალექსანდრე ხვიტია, გიორგი კევლიშვილი, თედო პანფილოვი, ნანკა ტაბატაძე, ლუკა ქსოვრელი, ლუკა კვინიკაძე, ნინო ხარაული, პავლე ვერულაშვილი, საბა ვერძეული, ლუკა მირიანაშვილი** და **თეკლა ქუსიკაშვილი** წარმატებით მონაწილეობდნენ.

წარმატება – წარმატებად, მაგრამ უთუოდ საყურადღებო კიდევ ესაა: **ალექსანდრე ხვიტია, თედო პანფილოვი** და **ნანკა ტაბატაძე** 2-2 საგანსა და 2-2 ნომინაციაში მონაწილეობდნენ; **ლუკა ქსოვრელი** – 3-3-ში. ანუ სკოლა აღსაზრდელთა მრავალმხრივ განათლებას უდიდეს ყურადღებას აქცევს.

„კინგსის“ ოლიმპიადაში (ქართული ენა, მათემატიკა) II-III ხარისხებით შეფასდა სკოლის 31 მოსწავლე: **დავით გორგიაშვილი, ნინო გოგოტიშვილი, ნანა მინდაძე, თეკლა ქუსიკაშვილი, საბა ოქროპირიძე, ლიზი ხარაზიშვილი, ნათია გოგოტიშვილი, გიგი ოზაშვილი, ლიზი ბახუაშვილი, ნინო ხარაული, ეკატერინე ლიკლიკაძე, კესო გურეშიძე, ელენე შერაზადიშვილი, გიორგი გვარიძიშვილი, ნინო მამულაშვილი, თამაზ ბუჭიაშვილი, ლუკა ჭელიძე, თორნიკე ჭკადუა, ლიზი კანდელაკი, ლუკა ქსოვრელი, სესილი შილაკაძე, გიორგი კევლიშვილი, გიორგი მოდებაძე, ანა შილაკაძე, ალექსანდრე მეუდოიანი, ნატალია კეტაშვილი, გაბრიელ ჯინორია, საბა გორგიაშვილი, მიხეილ პირველი.**

გიორგი ტორუამ და **ლიზი პაპავამ,** შესაბამისად, შესანიშნავი და ბრწყინვალე შედეგები უჩვენეს დასკვნით ტურში.

კვლავ საყურადღებოა: **ლუკა ჭელიძე, ნატალია კეტაშვილი, საბა გორგიაშვილი, მიხეილ პირველი** ორივე საგანში მონაწილეობდნენ.

და კიდევ: ორივე კონკურსში რამდენიმე გვარი მეორდება. ჯერ რომ ყმაწვილები ბეჯითობენ და ცოდნით მოიპოვებენ მონაწილეობის უფლებას და სკოლაც ყოველმხრივ უწყობს ხელს მათ სხვადასხვა კონკურსში გამობრძმედას, საკუთარ შესაძლებლობებში დარწმუნებასა და მათს წარმოჩენას, რაც ასე გამოადგებათ ცხოვრებაში.

ასეთი მიდგომით, უკვე **უნათებს „ლამპარი“** სავალს აღსაზრდელებს.

და ლოგიკური შედეგი: **„რობინზონის“** ოლიმპიადიდან საქართველოს (მათემატიკა, ინგლისური) ნაკრების კანდიდატები არიან: **ლიზი ბახუაშვილი, ლუკა ჭელიძე, ირაკლი ფერაძე, გიორგი ტორუა, გიორგი მოდებაძე, ოთარ ფროდიაშვილი, ილია ბჟალავა, ლიზი მოძღვრიშვილი, ანა შილაკაძე, მარი პროკოპენკო** და **საბა გორგიაშვილი**.

შარშან სკოლას 4 ოქროს მედალოსანი ჰყავდა: **მარიამ ქათამაშვილი, ნინო ბეგიაშვილი, თამარ სიდამონიძე** და **ანა ცალუღელაშვილი**. წლეულს 2 ოქროსა და 4 ვერცხლის მედლების კანდიდატი ჰყავთ. ოქროსი – **ნელი პაპიაშვილი** და **ნინო თულაშვილი**; ვერცხლისა – **მარიამ რაზმაძე, ელენე ჯოხაძე, თამარ იანვარაშვილი, ნანა ზურაბაშვილი**. შარშან 100%-იანი გრანტი **მარიამ** და **გიორგი ასანიძეებმა** დაიმსახურეს.

ცხადია, ნებისმიერი სკოლის წარმატებებში ლომის წილი პედაგოგებზე მოდის, მათზე, ვინც უშუალოდ მუშაობს აღსაზრდელებთან. ასეა **„ლამპარშიც“**, სერთიფიცირებული მასწავლებლები: **ეკატერინე ურიადმყოფელი, მაია კობიაშვილი, მანანა ჭელიძე, ანი სამადაშვილი** (ქართული), **ქეთევან ბერიძე** (მათემატიკა) **ნინო გაბუნია, ნინო მგალობლიშვილი, ლელა ივანიძე, ელზა თურმანიძე** (ინგლისური), **ვიქტორია ვიტმანი** (რუსული), **თამუნა კილაძე, ანა ბიჩელაშვილი** (ისტორია), **ინგა ბიძიშვილი** (გეოგრაფია), **თეონა ჩიტაშვილი** (ქიმია), **ქეთევან სარალიძე** (ბიოლოგია) მიზანმიმართული, შემოქმედებითი, დაუღალავი მუშაობით ამართლებენ ოდინდელ, მაგრამ ახლა, დილეტანტების თარეშის ჟამს, განსაკუთრებით აქტუალურ ლოზუნგს: „კადრები წყვეტენ ყველაფერს“.

პროფესიონალიზმით, საქმის მიმართ პასუხისმგებლობითა და შრომის ხარისხით სერთიფიცირებულებს არაფრით ჩამოუვარდებიან კოლეგები – ქართულის, მათემატიკის, ინგლისურის, რუსულის, ისტორიის, გეოგრაფიის, ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის, ბუნების, ხელოვნების, მუსიკის, ჭადრაკის, სპორტის პედაგოგები: **ჯული ჩოკოლაშვილი, თათია ლაბაძე, თინათინ კუპრეიშვილი, ციცინო ენუქიძე, გულნარა წყაროზია, ლალი თოლორდავა, თათა ჭითანავა, სოფიო სამხარაძე, მარი რამაზაშვილი, ეკა ჭელიძე, ნინო გოგოხია, ნანა თეთრუაშვილი, თამარ ყველაშვილი, ნონა მეცხვარიშვილი, მინდია ჩხიკვიშვილი, მარიამ ლაბაური.**

იშვიათია სკოლა, სადაც სერთიფიცირებულ და არასერთიფიცირებულ პედაგოგთა რაოდენობა თითქმის ტოლსწორია.

გამართულად, თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე მუშაობს ექვსივე საგნობრივი კათედრა: ქართული ენის (ხელმძღვანელი – **მანანა ჭელიძე**), ტექნიკური (**გულნარა წყაროზია**), უცხო ენის (**ლელა ივანიძე**), საზოგადოებრივ მეცნიერებათა (**ინგა ბიძიშვილი**), საბუნებისმეტყველო (**ქეთევან სარალიძე**), ესთეტიკის (**თამარ ყველაშვილი**).

ბავშვები ხალისობენ ცეკვისა და სიმღერის წრეებში (პედაგოგები – **მელანო ასანიძე, ლიკუნა ჯანანაშვილი**); საბრძოლო ხელოვნებასა და მეტყველების კულტურას ეუფლებიან კარატესა და მეტყველების კულტურის სექციასა და წრეში (**ლევან ბერიშვილი, ჯულიეტა ჩოკოლაშვილი**), ჭადრაკის სექციაში სწავლობენ სტრატეგიულ და ტაქტიკურ აზროვნებას (**მინდია ჩხიკვიშვილი**).

სკოლა რთული ორგანიზმია, ამიტომ მისი უნარიანად მართვა ბევრ ძალისხმევას მოითხოვს. გამოცდილებასთან ერთად, დიდი ორგანიზატორული ნიჭია საჭირო, რათა სკოლამ ისე გამართულად და წარმატებულად იმუშაოს, როგორც **„ლამპარი“** მუშაობს.

სწორედ ასეთ თვისებებს ფლობენ და პრაქტიკულად ახორციელებენ „ლამპრის“ დირექტორები, ქალბატონები: **ლალი გარდაფხაძე, დარეჯან ქადაგიძე, რუსუდან მდივანი** და **ნინო ქადაგიძე**.

„ლამპრამდე“ თითოეულმა განვლო პედაგოგობის რთული და საპატიო გზა: **ლალი გარდაფხაძემ** თსუ-ს მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტი დაამთავრა მათემატიკის სპეციალობით. იყო 141-ე საჯარო სკოლის მათემატიკის მასწავლებელი, 177-ე სკოლის დირექტორი. გეომეტრიის გრიფირებული სახელმძღვანელოს ავტორია IX კლასისათვის, არის განათლების დოქტორი და ღირსების ორდენის კავალერი. **რუსუდან მდივანმა** თსუ-ს ისტორიის ფაკულტეტი დაამთავრა. იყო 141-ე სკოლის დირექტორი. **დარეჯან ქადაგიძემ** თსუ-ს მათემატიკის ფაკულტეტი დაამთავრა, სათავეში ედგა 181-ე სკოლას.

მერე სამთავე კერძო სტრუქტურაში გადავიდა. 2011 წელს კი ავტორიზება გაიარეს და სამი სუბიექტი ერთ სუბიექტად – კერძო სკოლა **„ლამპრად“** ჩამოყალიბდა.

აქედან დაიწყო მათი ურთიერთშეთანხმებული, მიზანმიმართული და წარმატებული მუშაობა.

დაბოლოს, გავიმეოროთ შეკითხვა: აღწევს მიზანს კერძო სკოლა **„ლამპარი“?!** ისე უნათებს სავალს აღსაზრდელებს, რომ მათი ცოდნა, ზნეობრიობა ხალხსა და ქვეყანას გამოადგეს?

პასუხი მკითხველისთვის მიგვინდია.

კონსტანტინე გურგენიძე

გავუთბოთ ცრთმანეთს გულები!

ამ დღეებში, **„კათარზისში“** სპექტაკლ „**ოინბაზები**“-ს პრემიერა გაიმართა, სადაც მთავარ როლს სათნოების სახლის ბენეფიციარები ასრულებდნენ. სპექტაკლი ძველი ვოდევილებიდან, **ავქსენტი ცაგარელის** პიესის მიხედვით დაიდგა და მისი რეჟისორია **ილია ნიშნიანიძე**, რომელიც თავად ტიგრანას როლს ასრულებდა. ასევე, მონაწილეობდნენ: **ნინოთუთბერიძე, სულიკო ხეტიშვილი** და **იამზე ციხელაშვილი**. პრემიერას ესწრებოდნენ საპატრიარქოს წარმომადგენლები.

სათნოების სახლის მესვეურებმა, მშვენივრად მოირგეს როლები, მაყურებელი მოხიბლეს და მათი ოვაციებიც დაიმსახურეს... სცენაზე, თითქოს გენიალური მსახიობი **ვასო გოძიაშვილი** გააცოცხლეს.

„კათარზის“-ში უკვე 12 წელიწადია არსებობს **„ნოსტალგიის თეატრი“**, რომლის სამხატვრო ხელმძღვანელი და რეჟისორია **ილია ნიშნიანიძე**. სწორედ მისი ხელმძღვანელობით, სათნოების სახლში რვა პრემიერა გაიმართა. დაიდგა გიორგი ერისთავის **„ძუნწი“**, ავქსენტი ცაგარელის **„ხანუმა“**, „**გამოკეტილი ჭიშკარი**“ და სხვა.

ილია ნიშნიანიძე: სპექტაკლში თამაშობენ „კათარზისი“-ს ბენეფიციარი ხანდაზმულები, აქ არცერთი პროფესიონალი არ არის და სცენაზე ახლა აიდგეს ფეხი. მათ მშვენივრად გაართვეს საქმეს თავი და უხარიათ, რომ მონაწილეობენ და სცენაზე თამაშობენ. საინტერესოა მათთან მუშაობა და დიდ სითბოსა და სიყვარულს ამჟღავნებენ. სპექტაკლებში, ძირითადად, 70 წელს გადაცილებული ადამიანები ასრულებენ, ჩვენთან ყველაზე უხუცესი 92 წლის ბენეფიციარიც თამაშობდა. თეატრი, ძირითადად, კომედიური ჟანრისკენ მიისწრაფვის – კარგი განწყობისთვის, რადგან გვინდა ცოტა გავახალისოთ ხანდაზმულების მძიმე ყოფა. მართალია, დიდი სცენა არ გვაქვს და დარბაზიც პატარაა, მაგრამ გარემოს შესაბამისად ვარჩევთ სპექტაკლებს, რათა მოვარგოთ დასს. სცენის დეკორაციებზე, ბუტაფორიაზე, გახმოვანებაზე და კოსტუმებზე ჩვენთან ერთად „კათარზის“-ის ადმინისტრაციაც ზრუნავს და მუდამ გვერდში გვიდგას. სასცენო ტანსაცმელს კი, ვთხოულობთ კოტე მარჯანიშვილისა და ნოდარ დუმბაძის თეატრებიდან. სულ მალე, ასოციაცია **„ანიკას“** ინიციატივით, ნაძალადევის რაიონში სპექტაკლს გავმართავთ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის. სამომავლოდ კი, ახალ როლებზე დავიწყებთ მუშაობას და **გიორგი ერისთავის** პიესა **„გაყრა“** დაიდგმება.

„ნოსტალგიის თეატრი“ და მისი მსახიობები ყვარელში საგასტროლოდ მიემგზავრებიან, სადაც სპექტაკლ – „**ოინბაზებს**“ ითამაშებენ.

თეატრალურ დასს წარმატებებს და ბენეფიციარებს ხანგრძლივ სიცოცხლეს ვუსურვებთ.

ანანო სამელია

ილია — 180 და 110

უდიდესი მწერლის შეხედულებები მასწავლებელზე

მასწავლებლის შესახებ თავისი შეხდულებები და მოსაზრებები **ილია ჭავჭავაძეს** ჩამოყალიბებული აქვს პედაგოგიკისა და სახალხო განათლების საკითხებზე მიძღვნილ წერილებში და სტატიებში, რომლებიც სარედაქციო მასალების სახით ქვეყნდებოდა გაზეთებში „**ივერია**“ და „**დროება**“. მასწავლებლის პიროვნების შესახებ ყურადსაღები შეხედულებები ჩამოყალიბებული აქვს სპეციალურ წერილებში: **„ქალი მასწავლებელი“, „სასოფლო-სამეურნეო განათლება“, „პედაგოგიკის საფუძვლები“, „თავადაზნაურობის გულგრილობა სწავლა-განათლების საქმეში“, „ქალთა სასწავლებელი“, „მასწავლებელი და მისი დანიშნულება“, „აღზრდის მიზნები და ამოცანები“,** „გლეხთა სწავლა-განათლების პირობები“ და სხვა პუბლიკაციებში. საყურადღებო აზრები აქვს გამოთქმული აგრეთვე ზემოაღნიშნულ გაზეთებში დაბეჭდილ კორესპონდენციებში, რომლებიც იბეჭდებოდა ერთიანი სათაურებით: „შინაური მიმოხილვა“. წერილების დიდი ნაწიული გამოქვეყნებული აქვს მე-19 საუკუნის 70-90-იან წლებში.

ილია ჭავჭავაძეს მასწვალებლის უმთავრეს მოვალეობად მიაჩნდა მისი ყოველმხრივი განათლება, სასწავლო მეთოდიკის ღრმა ცოდნა, ბავშვის უსაზღვრო სიყვარული, მისი ყოველმხრივ შესწავლის უნარი, საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობა, პასუხისმგებლობის გრძნობა და ისეთი ადამიანური ღირსებები, რომლებიც მას წარმოაჩენენ როგორც აღმზრდელს, ოსტატს, მაღალი მორალური თვიუსებებით შემკულსა და ფრიად განათლებულ პიროვნებას; **„მზრდელი ყრმისა, მეორე შემოქმედია“,** წერდა ილია ყოველ თავის წერილებსა და კორესპონდენციებში. პედაგოგის საგანმანათლებლო ფუნქცია, – ილიას აზრით, მდგომარეობს იმაში, რომ უზრუნველყოს მოსწავლის აღჭურვა მეცნიერული განათლებით, ცოდნის იმ მარაგის მიცემით, რომლის შემდეგ მოსწავლე ადვილად შეძლებს შემდგომ განვითარებას თვითგანათლების გზით. ბავშვის აღზრდა, – ილიას აზრით, მისი შესწავლით უნდა დაიწყოს. **„ბავშვის ბუნება – საიდუმლოთა საიდუმლოა“** – წერდა იგი.

ბავშვი ძნელ წასაკითხ ქარაგმითაა დაწერილი; მასწავლებლის ამოცანაა გამოარკვიოს ბავშვის შინაგანი სულიერი ვითარება, გრძნობა, ნებისყოფა, ინტერესი, მეტყველება და სხვა თვისებები, ბავშვის პატარა გულმა უნდა იგრძნოს მასწავლებელში მეგობარი. ილიას აზრით, სასწავლო პროცესში დიდი მნიშვნელობა აქვს მასწავლებლის საქციელს. ერთი ასეთი ჭკვიანური საქციელი ოსტატისა, – წერდა იგი – უფრო ძლიერ მოქმედებს ბავშვის გაადამიანურებაზე, ვიდრე სამისა და ოთხის წლის ზეპირობა გრამატიკისა, თუ სხვა ამისთანისა. მასწავლებლს დიდი მისია აკისრია ერის განათლებისა და მოზარდთა მორალური – პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდის საქმეში. ილიას შეხუდეულებით ღონიერი და ჭირთა მძლე ის არის, ვისაც ჭკუა ცოდნით მოურთავს, ცოდნით აუყვავებია, ცოდნის ძუძუთი გაუზრდია; კაცი მაშინ არის ხერხი, როცა ცოდნა აქვს, როცა ჭკუა ცოდნით გაულესია. სტატიაში **„სოფლის მასწავლებელი“** ილია ჭავჭავაძე გულისტკივილით წერს სოფლად მოღვაწე მასწავლებლის შესახებ. სოფლის მასწავლებელი, მისი აზრით, არის სადღაც მიყრუებულ ადგილას, ქვეყნის სიამოვნებას მოკლებული, ბევრჯერ მშიერი, ბევრჯერ მწყურვალი, დილიდან საღამომდე იბრძვის, იღვწის ბავშვების მომზადებისა და აღზრდისათვის. სოფლად მასწავლებლობა – განაგრძნობს მსჯელობას ილია, – სწორედ თავის განწირვაა, მსხვერპლია, ადამიანის უმადურობით უფრო გამწარებული. ამ მხრივ უფრო უარეს ყოფაში არიან ქალი მასწავლებლები. 1886 წელს გამოქვეყნებულ სპეციალურ წერილებში **„ქალი მასწავლებელი“**, ილია გულისტკივილით წერდა, რომ ქალი მასწავლებელის ყოფა იმავე თავგანწირულობით და სიმძიმითაა დატვირთული, როგორც კაცი მასწავლებელი, მაგრამ ნაკლებად პატივცემულია, უფრო ნაკლებ დაზღვეულია გასამრჯელოთი და სასყიდლითა. ქალი მასწავლებელი არ სარგებლობს იმ უფლებებითა და პრივილეგიებით, როგორც კაცი პედაგოგი. კარგად მომზადებული ქალი მასწავლებლი გულდაწყვეტილი ემორჩილება უმრავლესობისა და გარემოებების სისასტიკეს.

ილია ჭავჭავაძე ორგანულად უკავშირებს ერთიმეორეს განათლებასა და ზნეობრივ აღზრდას. ჭეშმარიტი განათლება, მისი აზრით, განვითარებული გონების და გაწვრთნილი ზნე-ხასიათის ერთმანეთთან შეუღლებაა განუყრელად. ზნე-ხასიათის წვრთნისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ოსტატის, მწვრთნელის მოხერხებულებას, ყოფა ქცევას, მაგალითს, სიფხიზლეს. აღსაზრდელის ზნე-ხასიათის წვრთნა გარკვევაა მისი სულიერი ვინაობისა, სულიერი ბუნებისა, მისი კაცობისა. აღსაზრდელის მორალურ-ზნეობრივი აღზრდა, ი. ჭავჭავაძის აზრით, არა თუ უდიდესი, არამედ ერთადერთი საგანია სკოლისა. სკოლამ ისე უნდა აღზარდოს და წვრთანას მოზარდი, რომ მას ღონე, ხერხი და წყურვილი ჰქონდეს პატიოსანი რამ საგანი ცხოვრებისა იქონიოს.

სახალხო განათლებისა და სკოლების მოწყობის საკითხებზე გამოქვეყნებულ სტატიებში ილია ჭავჭავაძე საგანგებო ყურადღებას უთმობს მასწავლებლის პიროვნულ ღირსებებს, მის სულიერ ღირებულებებსა და ზნეობრივ სახეს. მასწავლებელს იგი უწოდებს **„სახალხო განმანათლებელს“, „ცოდნის ოსტატს“, „შეგირდის სულიერ მწვრთნელს“, „ნამუსიანობის მსაჯულს“, „მოზარდის გულის მესაიდუმლეს“** და ა. შ. სახალხო სკოლის ერთ-ერთ ძირითად ამოცანად ილიას მიაჩნია ჰარმონიულად განვითარებული პიროვნების აღზრდა. პირველდაწყებითი განათლების შესახებ გამოქვეყნებულ წერილებში ილია სინანულის გრძნობით წერს, რომ ბევრჯერ პირველდაწყებით სკოლის განათლების ნიშან-წყალიც არ მისცემია; ხალხის დიდმა ნაწილმა უმეტეს წილად ცარიელი წერა-კითხვაც არ იცის. წერა-კითხვა ჩვენში, წერს ილია, სრულიადაც არ არის გავრცელებული, წიგნების კითხვაზე კი, რა მოგახსენოთ, – სინანულით წერს მწერალი, ხალხის დიდმა ნაწილმა კითხვა არ იცის, რომ თავისი ავი მაინც გაიგოს, თუ სხვის კარგს ჯერ კითხვით ვერ შეიძენს. ხალხის ერთი ნაწილი, უმეცრების გამო სკოლებს ეჭვის თვალით უყურებს, განზე უდგება, ზოგჯერ კი პირდაპირ მტრად ეკიდება. ასეთ გარემოებაში მოღვაწე პედაგოგი ცოდნის გარდა აღჭურვილი უნდა იყოს დიდი მოთმინებით და, რაც მთავარია, ქვეყნის სიყვარულით; ასეთ პირობებში მოღვაწე პედაგოგი თუ იგი ღრმად პატრიოტული გრძნობით არ არის გამსჭვალული, შესაძლოა ადვილად დანებდეს სასტიკ სინამდვილეს და წარუმატებელ მოღვაწედ შეიქმნეს პედაგოგიკის დარგში.

მასწავლებელი უნდა ფლობდეს ბავშვის ფსიქიკურ სამყაროს წვდომის, „შინაგან საიდუმლოთა ამოხსნის“ და აღზრდა-სწავლების პროცესში მათი გათვალისწინების უნარ-ჩვევებს. ილია თავის წერილებში საგანგებოდ ხაზს უსვამს აღზრდაში მასწავლებლისა და აღსაზრდელის სულიერი კავშირის აუცილებლობას. ილიას ცნობილი პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური ფორმულაა: „თუ წვრთნა გინდა ბავშვის, იგი შენ უნდა ჩაისო გულში და იმან – შენ“. აღმზრდელი ყმაწვილებს უნდა უყალიბებდეს ჭეშმარიტ ადამიანურ თვისებებს; მას, როგორ ჭეშმარიტ ოსტატს, უნდა ახასიათებდეს მიზნის სიცხადე, თავისი საქმის რწმენა, მორალური სიწმინდე, პირდაპირობა, მოსწავლისადმი ერთგულება. ჭეშმარიტი აღმზრდელი, – ილიას აზრით, – თანმიმდევრულად უნდა იბრძოდეს მლიქვნელობის, დასმენის, ფარისევლობის და სხვა ზნეობრივ მანკიერებათა წინააღმდეგ. მასწავლებლისათვის უპრინციპობა, მერყეობა, რწმენისა და იდეალების უქონლობა შეუთავსებელია. ეს ორპირობა, ილიას აზრით, „უთაკილობა“ ავტორიტეტს ულახავს მასწავლებელს. მასწავლებლისა და აღსაზრდელის ურთიერთდამოკიდებულებაში ილია დიდ მნიშნელობას ანიჭებდა ბავშვისადმი გულისხმიერ და შემწყნარებლურ დამოკიდებულებას. სასწავლო მასალის, მთლიანი ტექსტის მექანიკური დაზეპირება ილიას აზრით, უარყოფითად მოქმედებს მოზარდის ინტელექტუალურ ზრდაზე, აჩვევს მას ზერელობას და უკარგავს შინაარსში წვდომის უნარს. პედაგოგი, აღმზრდელი, ოსტატი ბუნებრივი ნიჭითა და სათანადო უნარით უნდა იყოს დაჯილდოვებული. ილია ჭავჭავაძე თავის მხატვრულ ნაწარმოებსა და სახალხო განათლებისადმი მიძღვნილ წერილებში დღენიადაგ ცდილობდა ქართველ ხალხში შეეტანა ახალი ჰუმანისტურ-განმანათლებლური იდეები, მოსახლეობაში დაემკვიდრებინა აღმზრდელობითი სწავლება, ხალხურობის, თეორიისა და პრაქტიკის ერთიანობის პრინციპები.

საქართველოს დღეს სჭირდება არა კლასიკური, არამედ რეალური განათლება, – წერს ილია, – ცხოვრებაში გამოსადეგი, ხალხის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის საჭირო ცოდნა, სკოლების ქსელის გაფართოვება, ცოდნა, სწავლა-განათლება დღევანდელ კაცისათვის, – ილიას აზრით, არსებითი პურია, უამისოდ ადამიანი დღეს ყველაფერს მოკლებულია, ადამიანობასაც კი. ამის მიზეზი არის ცოდნის უქონლობა. ჩვენ ქართველობას თუ სურს, რომ ჯანი მისცეს მის სულსა და ხორცს, ცხოვრების მოედანზე საჭიროდ და გასამრავლებლად, იგი უნდა ეტანებოდეს სკოლებს, სასწავლებლებს, ამ ცოდნის მომფერებელი და მომვლინებელით, ოსტატმა, აღმზრდელმა ილიას აზრით, **ყმაწვილკაცობა უნდა მოამზადოს პრაქტიკული ცხოვრებისათვის,** აღჭურვოს მისი გონება სიბეჯითი და ცოდნით; ახალგაზრდობამ, ილიას აზრით, როგორადაც შეუძლია უნდა შეისწავლოს ევროპული მეცნიერება, წინ წაიმძღვაროს ევროპული საგანმანათლებლო გამოცდილება და თოფ-იარაღით შეუდგეს ჩვენი ქვეყნის განვითარებისა და წინსვლის საქმეს.

ილია ჭავჭავაძის შეხედულებები მასწავლებლის შესახებ, მის მიერ ჩამოყალიბებული სწავლა-აღზრდის იდეები და პრინციპები ორგანულად ეხმიანება დღევანდელ საქართველოს სასკოლო ცხოვრების, პედაგოგის პიროვნების მორალურ-ზნეობრივ იერსახეს. **მისი პედაგოგიური შეხედულებების ღრმად გააზრება და პრაქტიკული რეკომენდაციების მეცნიერული შემუშავება, ვფიქრობთ ბევრწილად წაადგება ჩვენი სკოლის ეროვნულ ნიადაგზე განვითარების კეთილშობილურ საქმეს.**

გურამ თაყნიაშვილი,
საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის განყოფილების უფროსი

თეატრ-სტუდია „მადლის“ „ინიციატივითა და ორგანიზებით, თბილისის 107-ე ბაგა-ბაღში საქველმოქმედო ღონისძიება გაიმართა, სადაც მსახიობებმა ბავშვებს და მოწვეულ სტუმრებს, სხვადასხვა ჟანრის შოუ-სანახაობა წარუდგინეს.

აღსაზრდელები ძალიან გაამხიარულა შოუ-სანახაობამ, რომელიც გასართობი ორმოცწუთიანი პროგრამისგან შედგებოდა. წარმოდგენილი იყო საინტერესო მუსიკალური ნომრები, მხიარული კლოუნადა, ილუზია-მანიპულაცია, აკრობატიკა და სხვა.

ღონისძიება სამი წლის **ანი მეხაშიშვილის** დასახმარებლად გაიმართა და შემოსული თანხა მთლიანად, მის მკურნალობას მოხმარდება. პატარა ანის ექიმებმა მძიმე დიაგნოზი: მწვავე რესპირატორული დისტრესს სინდრომი დაუდგინეს, რისთვისაც მას საზღვარგარეთ მკურნალობა და ოპერაცია ესაჭიროება, ამისთვის კი 150 ათასი ლარია საჭირო.

ნათია ლომაძე-ხალვაში, 107-ე ბაგა-ბაღის დირექტორი: მიხარია, რომ საქველმოქმედო ღონისძიებაში ვმონაწილეობთ. ბედნიერებაა, როცა ადამიანის სიცოცხლის გადასარჩენად გავერთიანდით ბაღის თანამშრომლები და მშობლები. თითოეული ადამიანის სიცოცხლე ხომ ძვირფასია და ჩვენ ვალდებულნი ვართ ერთმანეთს გავუფრთხილდეთ და გაჭირვების ჟამს გვერდში დავუდგეთ. სტუდია **„მადლის“** და მისი ხელმძღვანელის – **ჯემალ დემურაძის** იდეას სიამოვნებით დავთანხმდით და ჩვენთან ჩავატარეთ პირველი საქველმოქმედო ღონისძიება, ამისთვის საგანგებოდ მოვემზადეთ და პატარა ანის სიურპრიზად საჩუქარიც გადავეცით.

ქველმოქმედება

სიკეთის არა აქვს საზღვრები

ჯემალ დემურაძე, „მადლის“ დირექტორი: თავდაპირველად მადლობა მინდა გადავუხადო ბაგა-ბაღების სააგენტოს ხელმძღვანელს ბატონ **თემურ თორდინავას**, რათა ხელი შემიწყო სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში, **ანი მეხაშიშვილის** დასახმარებელი ღონისძიება გავმართო. ასევე, მადლობას ვუხდი პარლამენტის წევრს **გუგული მაღრაძეს,** 107-ე ბაღის დირექტორს **ნათია ლომაძე-ხალვაშს, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს** და **საგარეჯოს რაიონის გამგეობას**. ანი საგარეჯოდან არის, ის სრულიად შემთხვევით გავიცანი და მისმა მშობლებმა მოგვმართეს დახმარებისთვის. მოგეხსენებათ, რომ მე გახლავართ გადაცემა **„იმედის გმირის“** 2013 წლის გამარჯვებული და უკვე 15 წელიწადია დავაარსე თეატრ-სტუდია **„მადლი“**, რომლის მთავარი მიზანია საქველმოქმედო ღონისძიების გამართვა და უნარშეზღუდული ბავშვების დახმარება. ჩვენი ინიციატივით არაერთი აქცია გაიმართა და შემოსული თანხით, მრავალ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პატარას გაეწია დახმარება. დღევანდელ ღონისძიებაში მონაწილეობდნენ ჩემი მეუღლე **ფატი** და ვაჟები – **გიორგი, დიმა** და **რომა**, ასევე, **პაატა** და **ბონდო ძულიაშვილები**, ჯგუფი **„დიერჯი“** და სხვები.

თეატრ-სტუდია **„მადლის“** მსახიობებმა მართლაც ლამაზი და შთამბეჭდავი სანახაობა წარუდგინეს მაყურებელს და პატარებს, შთამბეჭდავი და ლამაზი დღე აჩუქეს. საქველმოქმედო ღონისძიებას ესწრებოდა **ანი მეხაშიშვილი**, საგარეჯოს გამგეობის წარმომადგენლები და სხვადასხვა ბაღის დირექტორები. **ნათია ლომაძე-ხალვაშმა** კი ანის საჩუქარად თოჯინა გადასცა და გამოჯანმრთელება უსურვა.

მსგავსი საქველმოქმედო ღონისძიება **„მადლის“** ინიციატივით, დედაქალაქის სხვა ბაგა-ბაღებშიც გაიმართება.

მზია გოგოძე

თემის გაგრძელება

ევროსტანდარტების მსარდამსარ

ჰაერში მაისის სურნელი დატრიალდა, მზიანი მაისის, ბედნიერ დღეებს გისურვებთ! გაზაფხულის ამ თვის დადგომას განსაკუთრებული მოლოდინი ჰქონდა **„ევროპული განათლების აკადემიის“ კონტრაქტორ – უკრაინის ქალაქ როვნოს საერთაშორისო ეკონომიკურ-ჰუმანიტარული უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის**. თითქმის გაილია სასწავლო – საკონსულტაციო წელი, აქ მიღებულ ცოდნას გააღრმავებენ ალმა მატერ უნივერსიტეტში მაღალი კვალიფიკაციის მქონე IV დონის აკრედიტირებულ უნივერსიტეტში: ეკონომიკისა და ფინანსების, სამართლისა და ტურიზმის, ასევე, საქართველოსათვის ესოდენ ახალი იშვიათი სპეციალობის – ადამიანის ჯანმრთელობისა და ფიზიკური რეაბილიტაციის სპეციალობებზე.

სტუდენტები მოუთმენლად ელიან წელიწადის ამ დროს. გამგზავრების სამზადისს ადრევე შეუდგნენ. დაეუფლნენ უკრაინულ, ინგლისურ, რუსულ ენებს, რაც აუცილებელი პირობაა საზღვარგარეთ უმაღლეს სასწავლებლებში სწავლებისათვის. მათ უკრაინაში ელით ოთხი სასწავლო კორპუსი აღჭურვილი თანამედროვე დონის მატერიალურ-ტექნიკური ბაზითა და კაბინეტ-ლაბორატორიებით. ევროპაში ერთ-ერთი საუკეთესო სპეციალისტებით დაკომპლექტებული, ასევე თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ადამიანის ჯანმრთელობის სარეაბილიტაციო ცენტრი, სადაც მიმდინარე სასწავლო წელს პირველად თეორიულ მეცადინეობასა და საწარმო პრაქტიკას გაივლიან ჩვენი სტუდენტები. სტუდენტებისავე განკარგულებაშია ორი სატრენაჟორო დარბაზი ყველა სახის სპორტული და სარეაბილიტაციო ინვენტარით, რომლითაც მათ შეუძლიათ ისარგებლონ როგორც სასწავლო სასესიო, ასევე მეცადინეობის შემდგომ პერიოდში. სტუდენტების განკარგულებაშია ღია და დახურული ტიპის ოლიმპიური საცურაო აუზები, სადაც გამაჯანსაღებელ მეცადინეობებს ატარებენ ამავე უნივერსიტეტდამთავრებული ცნობილი სპორტსმენები – მეთოდისტ-კონსტრუქტორები; ამ ოლიმპიურ კომპლექსში ტარდება ოლქის, რესპუბლიკის, ევროპის ჩემპიონატები ცურვის სხვადასხვა სახეობებში. სტუდენტების განკარგულებაში იქნება ღია სპორტული მოედანი სხვადასხვა სპორტული ღონისძიებების ჩასატარებლად.

სასწავლო კორპუსებში მიმდინარეობს მეცადინეობები ევროკავშირისა და ამერიკელი სტუდენტი ახალგაზრდობისათვის, კერძოდ: აშშ დან, პოლონეთიდან, გერმანიიდან, უნგრეთიდან, ბულგარეთიდან, ესპანეთიდან სწავლის მსურველთათვის.

აქტიურ მუშაობას ეწევა უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობა. სტუდენტურ საბჭოს ახლო კავშირი აქვს „ევროპული განათლების აკადემიასთან“. ჩვენი სტუდენტები ასევე აქტიურად არიან ჩართული ევროკავშირის ქვეყნების სტუდენტებთან საზოგადოებრივი, ინტელექტუალური თუ ერუდირებული საქმიანობით. უნივერსიტეტს აქვს საკონცერტო დარბაზი, რომელიც ერთ-ერთი საუკეთესოა ოლქში, და თითქმის მთლიანად დატვირთულია სხვადასხვა კულტურული ღონისძიებებით. აღნიშნული საკონცერტო დარბაზის დირექტორი ამავე უნივერსიტეტის კურსდამთავრებულია. ამავე დარბაზში ჩატარდება ორი ქვეყნის – უკრაინისა და საქართველოს ფოლკლორული ანსამბლების კონცერტი, მასში მონაწილეობას მიიღებენ ორივე მხარის სტუდენტები და პროფესორ-მასწავლებლები.

მეგუ-ს კურსდამთავრებულია ოლქის გუბერნატორი, ასევე უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები არიან უკრაინის რადაში, სამართალდამცავ ორგანოებში, ტელევიზიაში, განათლების სისტემაში, სხვანაირად არც შეიძლება იყოს. უნივერსიტეტში არსებულ ევროპული დონის კრიმინალისტიკურ ლაბორატორიას ხელმძღვანელობს უნივერსიტეტის კურსდამთავრებული, პროფესორი, ოლქის პროკურორი. არ შეიძლება არ აღინიშნოს ტურიზმის ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებელთა აქტიური მუშაობა, განსაკუთრებით კი, მისი წამყვანი სპეციალისტის, რომელიც ხელმძღვანელობს ამ დარგს. შეიძლება ითქვას, რომ მან ფეხით შემოიარა მთელი მსოფლიო და შეაგროვა ცოცხალი ნიმუშები და ექსპონატები სხვადასხვა საინტერესო ფაქტებზე. იშვიათი ფლორა და ფაუნის ეგზოტიკური ფიტულები, რომლებიც ბევრ ცნობილ მუზეუმს დაამშვენებდა. არის შემოთავაზებები მათი დათმობისა სოლიდური თანხის სანაცვლოდ, მაგრამ ცდუნების გარეშე. უნივერსიტეტს აქვს მუზეუმი, რომელშიც განთავსებულია მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების ცნობილი ადამიანებისა და პრეზიდენტების ორიგინალი მიმოწერები, პირადი ნივთები, გამონათქვამის ორიგინალები და იშვიათი ნუმიზმატიკის ნივთები.

სტუდენტებს ელოდებათ უნივერსიტეტის მხრიდან ყურადღების მაქსიმუმი, ტრანსპორტირებისა და ღამისთევის, ასევე კვების მხრივ. სტუდენტები განთავსდებიან სასტუმროს ტიპის 9 სართულიან ფლიგელში, ინდივიდუალური საძინებლებით, სამზარეულოთი და სანკვანძით. მათ ელით ისტორიულ-ეთნოგრაფიული ექსკურსიები, როგორც ქალაქში, ასევე ქალაქგარეთ. საინტერესოა ექსკურსია ევროპაში პირველ მართლმადიდებლურ ტაძარში „პოჩაევო“, მუზეუმ-ეკლესიაში „პერესოპნიცა“, სადაც მოხდა პირველი ევანგელიის თარგმნა და დაწერა. წმინდა მარიამ ღვთისმშობლის ნაფეხურების გამოცხადების ადგილის მონახულება და ასევე სხვა ისტორიული მომენტების ნახვა, რომლითაც ასე მდიდარია დასავლეთ უკრაინა.

დარწმუნებულნი ვართ, რომ აღნიშნულ ცოდნის ტაძარში მეგუ მიღებული განათლება იქნება ევროპული დონის და მას ჩვენი სტუდენტი ახალგაზრდობა გამოიყენებს საქართველოს წარმოსაჩენად ევროპულ ბაზარზე.

რუბრიკას უძღვებოდა „ევროპული განათლების აკადემიის“ მოსამზადებელი საკონსულტაციო ცენტრის ხელმძღვანელი, რექტორის სპეციალური წარმომადგენელი საქართველოსა და ამიერკავკასიაში პროფესორი, დავით კუპრაშვილი

უდიდესი ტრადიციების მქონე ხელოვნების მე-2 სკოლა

დიდი ზაქარია ფალიაშვილის ხსოვნისა და სახელის საკადრისად

თბილისის მერიის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ხელოვნების მე-2 სკოლის ზღურბლიდანვე ერთგვარი მოწიწება გიპყრობს: დიდებულად გაფორმებულ ფოიეში სპეციალურ სადგამზე კონტრაბასი „გადაწოლილა“. ცოტა იქით – როიალია. უმალ ხვდები, რომ მუსიკის ტაძარში შედიხარ, სადაც „ქერუმები“ ღვთაებრივ მუსიკას ემსახურებიან.

მოწიწება გიღრმავდებათ, როცა გაიგებთ, რომ სასწავლებელი 1908 წელს დაუარსებია „ქართულ ფილარმონიულ საზოგადოებას“, რომლის წევრებიც ქართული ეროვნული კლასიკური მუსიკის სათავეებთან იდგნენ დიდ ზაქარია ფალიაშვილთან ერთად და თავადაც გარდაცვალებამდე – 1933 წლამდე – ამ სკოლაში მოღვაწეობდა.

საოცარია – თუმცა ეს შენობა არ არის ის, სადაც სასწავლებელი დაარსდა, მაგრამ გრძნობ, რომ აქ ისევ დიდი ზაქარიას სული ტრიალებს. ამ განწყობას

სკოლის პედაგოგთა რუდუნება გიქმნით, რითაც, თითქოსდა, ჰაერიც კი გამსჭვალულია.

უმდიდრესი, უდიდესი ტრადიციები აქვს სკოლას. აქ მოღვაწეობდნენ უთვალსაჩინოესი კომპოზიტორები და მუსიკოსები: **ი. ფალიაშვილი, ა. ვირსალაძე, ვ. შიუკაშვილი, ს. გაბუნია, ნ. ბაგრატიონი, ვ. კურტიდი, შ. შველიძე, დები ქიქოძეები, ქ. სიმონიშვილი, ი. ყანჩელი, მ. იპოლიტოვ-ივანოვი, ო. პოღოსოვა, მ. თვალჭრელიძე, ი. ნადირაძე, ი. მგელაძე** და მრავალი სხვა.

მე-2 სამუსიკო სკოლა, ერთ-ერთი უძველესი საქართველოში, ქართული ეროვნული მუსიკალური კულტურის განვითარების, ეროვნული სულის აღზევების კერად ჩამოყალიბდა. ეს პედაგოგთა თაობების თავდადებული, ქვეყნისა და ერის წინაშე დიდი მოვალეობის სრული შეგნებით წარმართული მუხლჩაუხრელი, შემოქმედებითი შრომის ნაყოფი იყო, არის და იქნება კიდეც.

დიახ, არის და იქნება კიდეც: წლების წინ მიღებულ მრავალ დიპლომს, სიგელსა თუ ჯილდოს, ბოლო წლებში მიღებული უამრავი სიგელი, დიპლომი თუ

ჯილდო „უმშვენებს გვერდს“. მხოლოდ მათ ჩამოთვლას დასჭირდებოდა გაზეთის მთელი გვერდი.

ამ დიდი წარმატებების შემოქმედნი არიან: **საიდა ავერბახი, თამარ არდიშვილი, სვეტლანა ბენდიაშვილი, ზეინაბ ბოჭორიშვილი, ნაირა გაბრიაძე, თამარ გიორგაძე, ელენე გუნცაძე, ლამარა გრიგოლია, ლეილა ლორთქიფანიძე, ნათელა დანელია, ივეტა ეტმეკჩიანი, მარინე თუშიშვილი, ეთერ ინალიშვილი, ლუიზა კუზმენკო, გულიკო მალაღურიძე, ზაირა მკურნალიძე, ნათელა მახარაშვილი, ნელი ნაცვლიშვილი, მზია გვარამაძე, ელენე ომანიძე, მარიკა პეტრიაშვილი, ლეილა სარალოვა, მაია სიხარულიძე, ეთერ ტულუში, ეთერ ფარცვანია, ქეთევან ქოიავა, დალი შარაშიძე, ნათელა შენგელია, დარეჯან ჩიკვილაძე, ვერა ჩხეიძე, ია თოდაძე, ნაირა მანწკავა, თამარ ჩიქობავა, მერცია ხიმშიაშვილი, ნინო ხაჩიძე** (საფორტეპიანო განყოფილება); **ქეთევან დავითაშვილი, ბადრი ლომსაძე, ნატალია როინიშვილი-აბაზაძე, თეა თოდუა, რუბენ ბრეგვაძე, მადინა ფაჩიკიძე, ქეთევან დავითაშვილი, გრიგოლ პაპაიანი** (საორკესტრო); **ხათუნა თავართქილაძე, იური თავართქილაძე, რუსუდან მუმლაძე, ირინე ნარეშელაშვილი, მაია კანდელაკი, ნინო თოდაძე, ეკა ჩიტაძე** (ვოკალური); **აკაკი კანდელაკი** (ხალხური საკრავები); **ლილი შავერზაშვილი** (კომპოზიცია); **რუსუდან დათუკაშვილი, სუსანა მესროპიანი, ტატიანა მაყაშვილი, თინათინ ქვლივიძე, მარიამ ჯაფარიძე, ელიზაბედ შავერზაშვილი** (თეორიული); **კარლო სუმბაძე, თამარ ხარიბეგაშვილი, ნინო პერტაია** (საგუნდო); **მზექალა ბერძენიშვილი** (სამხატვრო); **მარინე იაკობაშვილი, რუსუდან ბუიღლიშვილი, მანანა მონიავა** (კონცერტმაისტერები).

მათ, ყველამ მუსიკა ირჩია ცხოვრების სავალად. სიმბოლური ანაზღაურების მიუხედავად, წინა საუკუნის 90-იანი წლების სიბნელის, შიმშილის წლებშიც ისევ ერთგულად ეწეოდნენ პედაგოგის მძიმე, მაგრამ ერთობ საპატიო ჭაპანს. მუსიკა მათი ცხოვრებისეული მრწამსია და ისიც ურყევად სჯერად, რომ ბავშვის კლასიკური მუსიკის გარეშე აღზრდა სულიერებას, ზნეობრიობას აკლებს მას, შინაგანად აღარიბებს. ხოლო ღვთაებრივი ჰანგები სულს უფაქიზებს, გემოვნებას უხვეწს, მორალურად და ზნეობრივად აკეთილშობილებს ყმაწვილებს და ზემოთქმულის სრული შეგნებით ასრულებენ თავის მისიას.

სკოლის პედაგოგები საზღვარგარეთაც მოღვაწეობენ: **ქეთევან ქართველიშვილი** და **თინათინ თორაძე** – ამერიკის შეერთებულ შტატებში; **მამიკონ ნახაპეტოვი** – გერმანიაში და ა.შ.

ადგილობრივ კონკურსებში გამარჯვებულთა, ლაურეატების, დიპლომანტების ჩამოთვლა ძალზე შორს წაგვიყვანდა. ამიტომ მხოლოდ რამდენიმეს დასახელებას დავჯერდებით: **ელენე ქართველიშვილმა** – საბერძნეთში გამართულ საფორტეპიანო მუსიკის კონკურსში გაიმარჯვა (პედაგოგი – **ლეილა სარალოვა**), **ანა დვალმა** და **ელენე ჭყონიამ** – თურქეთში (პედაგოგი – **ნაირა ჩარკვიანი**); **ნატომ უნგიაძემ** – (პედაგოგი **ლეილა სარალოვა**) რესპუბლიკურში. **ნინო** და **დიმიტრი დუმბაძეების** მხატვრული ნამუშევრები იტალიასა და პოლონეთში გამართულ დათვალიერება-გამოფენებზე საუკეთესოებად აღიარეს და გაეროს შტაბ-ბინაში ინდივიდუალური გამოფენით ღირსყვეს; **თამარ** და **გიორგი უბირიების** ფერწერულმა ტილოებმა ჩეხოსლოვაკიაში გამართულ საერთაშორისო გამოფენაზე მედლები და დიპლომები მოიპოვა (პედაგოგი – **მზექალა ბერძენიშვილი**).

ამ უდიდესი და უმდიდრესი ტრადიციების სკოლას, აგერ უკვე ლამის 60 წელია, სათავეში ღვაწლმოსილი ქალბატონი, რესპუბლიკის დამსახურებული პედაგოგი, ღირსების ორდენის კავალერი, თბილისის მუსიკის საუკეთესო მასწავლებელთა სიაში მოხსენიებული **ლაურა იაშვილი** უდგას.

ქალბატონი ლაურა ნიჭიერთა ათწლედის წარმატებით დამთავრების შემდეგ, უგამოცდოდ მიიღეს კონსერვატორიაში, სადაც ცნობილი პროფესორი **ანასტასია ვირსალაძე** აუფლებდა ფორტეპიანოზე დაკვრას. 1957 წელს ნითელი დიპლომით დაამთავრა აღნიშნული უმაღლესი სასწავლებელი, იქვე დატოვეს სამუშაოდ და მე-2 სამუსიკო სასწავლებელშიც განამწესეს. 1961 წელს პედსაბჭოზე სასწავლო ნაწილის გამგედ აირჩიეს, 1991 წლდიან კი ამ სახელოვანი სკოლის დირექტორია. მისი აღზრდილები (ასზე მეტი) მრავალ პრესტიჟულ კონკრუსში არიან გამარჯვებულნი, სწავლობენ ან დაამთავრეს კონსერვატორია, გერმანიაში, იტალიაში, აშშ-ში მოღვაწეობენ.



მისმა ამჟამინდელმა მოსწავლემ **ნათია ნატროშვილმა** რვა მნიშვნელოვან კონკურსში I, II, III ადგილები დაიკავა. პოლონეთში გამართულ შოპენის საერთაშორისო კონკურსშიც მესამე იყო; შარშან ევროვიზიის დასკვნით კონკურსში სიმფონიურ ორკესტრთან ერთად უკრავდა, ხელოვნების სკოლების მოსწავლეთა საქალაქო დათვალიერებაში კი გრანპრი მოიპოვა.

დირექტორთან ერთად, სკოლას უნარიანად უძღვება, საქმეში სულსა და გულს აქსოვს მისი მოადგილე, საქართველოს დამსახურებული პედაგოგი, ღირსების ორდენის კავალერი **დარეჯან ჩივკილაძე**.

სკოლა მადლიერია მერიისა. იგი გათბობისა და ელექტროენერგიის დანახარჯს უნაზღაურებს.

გვჯერა, ზაქარია ფალიაშვილისა და მისი თანამოაზრეების დაარსებული სამუსიკო სასწავლებელი, ამჟამინდელი ხელოვნების მე-2 სამუსიკო სკოლა კვლავაც ამ დიდი მოღვაწის ხსოვნისა და სახელის საკადრისად წარმართავს მუშაობას.

კონსტანტინე გურგენიძე

გზა კაცისა

იდეას ჯლუს ქმედება უდრის ქვეყნის მსახურებას

„სხვისი რა მოგახსენოთ, მაგრამ მე არ ვეთანხმები ცნობილ გამონათქვამს – „გაჭირვება მიჩვენე და გაქცევას გიჩვენებო“.

გაქცევა ხომ მხდალის თვისებაა?! ცხოვრებაში კი, მითუფრო, თუ ღარიბი ქვეყნის შვილი ხარ, ბრძოლაა საჭირო, თავდაუზოგავი ბრძოლა, აქტიურობა და მიზანდასახულობა, რათა თავიც გაიტანო, ახლობლებსაც დაეხმარო და ქვეყანასაც გამოადგე.

ასე იწყებს თავის წიგნს „წარმატების ფორმულა და როგორ გვეშველება“ – ორი საზოგადოებრივი კოლეჯისა („ორიენტირი“, „მომავალი“) და **ბიზნესის და ტექნოლოგიების აკადემიის** დამფუძნებელი, ვისი მუშაობაც ზედიზედ ორი წელია კერძო კოლეჯების ასოციაციამ 5 ვარსკვლავით, უმაღლესად შეაფასა – **ანზორ მაჭარაშვილი**.

როცა ადამიანს ასეთი კრედო აქვს – ცხოვრებასთან პატიოსან ჭიდილში გამოჭედო შენი მომავალი და ეს გამოჭედილი ქვეყნის სამსახურში ჩააყენო, ცხადია, საქმის დიდებული მცოდნეც უნდა იყოს და სანაქებო პირონულ თვისებებს – ნებელობას, ალღოიანობას, კოლეგიალობას, მიზანსწრაფულობას, ერთგულებას ფლობდეს.

ანზორი 1979 წელს გავიცანი თბილისის 54-ე საშუალო პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელში ერთობლივი მუშაობისას. ის დირექტორის მოადგილე იყო სასწავლო-საწარმოო მუშაობაში.

აქნობამდე გამოყოლილი შთაბეჭდილება: საქმის ჩინებული მცოდნე, უაღრესად მომთხოვნი საკუთარი თავის მიმართ, თათბირებზე ძალზე სხარტად, ლაკონურად აყალიბებდა აზრს, უმალ წვდებოდა საკითხის არსში და პრობლემების მოგვარების ზუსტ, უმოკლეს გზას სახავდა.

ყველა ამ თვისების ერთი, მაგრამ წყალგაუვალი დასტური: იმხანად ხელმძღვანელ თანამდებობებზე, თანაც, მუშურ-გლეხურ სსრ კავშირში, თანაც, სწორედ მუშათა კლასის სამჭედლოდ „ხელდასხმულ“ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემაში, კომუნისტური პარტიის არანევრს ხელმძღვანელ თანამდებობაზე ვინ მიასუნინებდა?!

ანზორი თბილისის მე-18 საშუალო პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელში მუშაობდა წარმოების ინჟინრად. და, აი, საქართველოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის ხელმძღვანელობამ, უშუალოდ ამ კომიტეტის მაშინდელმა თავმჯდომარემ **ჰიპოკრატე შევარდნაძემ**, მიიჩნია, რომ უპარტიო **ანზორ მაჭარაშვილი** იყო ყველაზე უკეთესი კანდიდატურა 54-ე სასწავლებლის დირექტორის პირველი მოადგილის თანამდებობაზე.

მანამდე კი იყო მშობლიური საჩხერის რაიონი, ალალი, მრავალრიცხოვანი ოჯახი, პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტი, სხვადასხვა დაწესებულება, ორგანიზაცია.

1989 წელს კერძო ბიზნესი წამოიწყო. წარმატების მისეული მარტივი, მაგრამ ერთობ ქმედითი ფორმულის – კარგი იდეის მეშვეობით საქმის კეთება დაბრკოლებების წინასწარი გათვლით, რაც მათი თავიდან აცილებისა ან გადალახვის მტკიცე საწინდარია – ხორცშესხმით საგრძნობ წარმატებებსაც მიაღწია.

მიაღწევდა კიდეც: აკეთე საქმე რწმენითა და იმედით, სიმართლით და არა სიცრუით, გარემოების მიხედვით, გადაწყვეტილებების მყისიერი შეცვლითა და არა სიჯიუტით, წესრიგითა და დროული ქმედებით, რისკითა და მომგებიანი გარიგებებით – აი, **ანზორ მაჭარაშვილის** მუშაობის ანი და ჰაე.

რაოდენი სიყვარული უნდა ჰქონოდა ანზორს პროფესიული განათლების სისტემის მიმართ, როგორ უნდა გაესიგრძეგანებინა მისი უდიდესი მნიშვნელობა ქვეყნის კეთილდღეობისათვის, რომ ხელი აეღო აწყობილ ბიზნესზე და, ფაქტობრივად, ცარიელ ადგილზე, ნულიდან დაეწყო კოლეჯ **„ორიენტირის“** დაარსება. თავად დასახელებაც – **„ორიენტირი“** – სწორ პროფესიულ ორიენტაციას გულისხმობს. დროც გავიხსენოთ – 1992 წელი. ომი, დაძაბულობა. მაგრამ დაბრკოლებების წინასწარი გათვლით, გამართლებული რისკითა და იდეით – ქვეყანას უშუალოდ, თავისი გაწაფული ხელებით საქმის მკეთებლები სჭირდება! – „ორიენტირი“ დაარსდა. დაარსდა იმ დროს, როცა ლამის ყოველ ნაბიჯზე, კოლეჯები, უნივერსიტეტებიდა აკადემიებიც კი იხსნებოდა, დროის გამოცდასაც გაუძლო და „მომავლად“, ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიადაც „იბარტყა“ ჩინებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზებით, ახალი შენობებით, კომპიუტერული ტექნიკით, ლაბორატორიებითა და პრაქტიკის ობიექტებით, გამოცდილი პროფესორ-მასწავლებლებით.

გაამართლა და მერე როგორ, ანზორის ცხოვრებისეულმა კრედომ: თავდაუზოგავმა ბრძოლამ, აქტიურობამ, მიზანდასახულობამ, ცხოვრების შუაგულში ტრიალის აუცილებლობამ. ნათქვამია, ყოველივე კარგად დავიწყებული ძველიაო. ანზორს არაფერი დავიწყებია. უღვთოდ დანგრეული პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემიდან უკეთესი აიღო, თანამედროვეობას მოარგო და ქვეყნის სამსახურისკენ მიმართა.

ახლობლობისთვის გამოდგომის პრინციპი ასე გადაჭრა:

თავად კოლეჯ „მომავლის“ დირექტორია; მეუღლე – **ციცო ბუღაძე** – ბიბლიოთეკარი, ვაჟი – **რამაზი** – კოლეჯ „ორიენტირის“ დირექტორი; ქალიშვილი **სოფიო** – აკადემიის რექტორი, სიძე – **ირაკლი ლაღიძე** – აკადემიის სამეურნეო ნაწილს უძღვება, რძალი – **მაია ჯეგაშვილი** კოლეჯში სასწავლო პროცესის ხელმძღვანელია.

ნეპოტიზმიო? ჯერ რომ, ნეპოტიზმი სახელმწიფო დაწესებულებების სენია. მერე კიდევ, კერძო სექტორში რომელ ჭკუადმყოფელი ამუშავებს არასპეციალისტებს?! ხომ თავზე დაემხო მთელი საქმე!

ვნახოთ: **რამაზი** – პოლიტექნიკური ინსტიტუტის კურსდამთავრებულია; **სოფიომ** სამედიცინო ინსტიტუტი დაამთავრა, დოქტორანტია; **ირაკლი** – ეკონომისტი; **მაია** – სტომატოლოგი. კოლეჯებიცა და აკადემიაც კი, ძირითადად, სამედიცინო განხრისაა.

ოთხი შვილიშვილი უხარებს გულს ამაგდარ პაპას. უფროსებმა – **გიორგიმ** და **მარიამმა** სკოლა დაამთავრეს და სწავლის გასაგრძელებლად ემზადებიან; უმცროსების – **ქეთის** და **სესილის** არჩევანი სამომავლოა. დიდად სავარაუდოა, პედაგოგთა ოჯახებში აღზრდილები უფროსთა ძნელ, მაგრამ საპატიო გზას დაადგნენ.

ანზორმა 75 წელს გადააბიჯა, მაგრამ ისევ მხნედ არის და მზადაა საბრძოლველად. წუხს, რომ არ სურთ გამოცდილი სპეციალისტების მოსმენა. სათქმელი ბევრი მაქვს, მაგრამ რად გინდა, შეაყარე კედელს ცერცვიო. ძალზე ადარდებს ქვეყანაში გამეფებული უპასუხისმგებლობა, სიცრუე, გაუტანლობა და ამოთქმის სურვილმა დააწერინა ეს ლექსები.

ამ ლექსებიდანაც გამოსჭვივის მისი ზნეობა და მოქალაქეობრიობა:

კოტე სარალიძე

ფიქრებმა მიხმეს

არ ვარ მწერალი და არც პოეტი, თავს გაწყენთ ალბათ,
ფიქრებმა მიხმეს, და ამიტომაც დავიწყე წერა,
რადგან თავს იჩენს სიბინძურე, იმატა სევდამ,
სიკეთე იკლებს სამარცხვინოდ გახშირდა წყენა.

თუმცა ვიცი მე, ბევრს არ უყვარს წერა და კითხვა,
და არც ის მოსწონთ მათ ნაწერებს რომ წაიკითხავ,
„კარგი“ მაშინ ხარ სხვის ხარვეზებს თუ არ შენიშნავ
არ შეუსწორებ, რა მიზნითა წერს თუ არ იკითხავ.

მე არ მინდოდა, რომ სიცრუე გამხდარიყო ჩვენი თვისება,
უღირსთ, უკეთურთ ხელში ეგდოთ სხვისი ქონება,
რომ ყოფილიყო ომი, ტანჯვა, კაცთმოძულება,
ოკუპაცია, ლტოლვილობა, ხალხთა მონობა.

ოჰ, ღმერთო ჩემო, გამარკვიე, რად არ ვიცავთ უმანკოებას,
რატომ დამკვიდრდა ჩემს მამულში ამდენი ცოდვა,
წასვლას არ ვჩქარობ და თუ წავალ მეორედ მოვალ,
მე დრო არ მეყო, აღვდგომოდი ბოროტებას, არ მეყო ცოდნა.

მსურს გიზიარო

ლექსად მომინდა გრძელი სიტყვა, მოკლედ რომ გითხრათ,
კეთილგანწყობით მომისმინეთ, არ დაიზაროთ,
გამოვიარე რთული გზები, ბევრი რამ ვნახე,
რაც რომ ვისწავლე, რაც გავიგე, მსურს გიზიაროთ.

ყოველთვის მწადდა სიმართლე მეთქვა, მძულდა სიცრუე,
არ ვლიქვნელობდი არ ვუკმევდი ყველას საკმეველს,
იმას ვამბობდი, ჩემი აზრით რაც მართლად მიჩნდა,
არ ვუგალობდი ჩემს „მეგობრებს“ და არც ზემდგომებს.

ზოგნი ამბობენ ერთად არ ვართ ჩვენი თუ არ გწამთ,
აღარ გვჭირდება სხვისი აზრი, უნდა გაჩუმდე,
ზოგჯერ თქმა სჯობსო არა თქმასო, რომ თქვა რუსთველმა,
მე ვეთანხმები დიდ გენიოსს, არ მსურს დავდუმდე.

ხომ ცნობილია, კარგის მთქმელს რომ გამგონე უნდა,
სიახლის დამწყებს მცოდნეს სიტყვა როგორ არ არგებს,
წარმატებისთვის რაც არ იცით, ჯობს რომ ისწავლოთ,
ლიდერებს მივყვეთ, მათი რჩევა სახელს არ ავნებს.

უნდა ვეცადოთ, გარდავიქნათ დროის მოთხოვნით,
წინსვლას ვლოცავდეთ, ღმერთს ესმოდეს ჩვენი ვედრება,
საპირისპიროდ არ დავიყოთ სხვადასხვა ტომად,
ცალ-ცალკე დგომას ერთობითა ჯობს ქვეყნის შენება.

ლამაზი ლექსები სულს ისე მოსწყურდა...

ხელხვავიანი

პოეტი **ნაირა ნიჟარაძე** „გაგვიშინაურდა“, სტუმრის სტატუსი ლამის დაკარგოს, მაგრამ მაინც ისეთი სტუმარია, რომელიც ხელცარიელი არასოდეს მოდის, რედაქციაში თავისი ბარაქიანი პოეზიის საუკეთესო ნიმუშები და მეოცე საუკუნიდან პოეტური ოპტიმიზმი მოაქვს.

პოეტია შეუპოვარი, შავ ბედთან მორკინალი, **„გულითა გაუტეხელი, მოუღალავი მკლავითა“**. საბავშვო და სადიდო მწერლობაში თანაბრად ძლიერია და უკვე მონიშნული აქვს საკუთარი ღირსეული ადგილი. ზემოთქმულს ადასტურებს შარშანწინ გამოცემული თაიგული მისი ლექსებისა **„ნუ შეწყვეტ სიმღერას!“**

მის მშვენიერ ლექსებს ამ მშვენიერ მაისში საქართველოს მწერალთა კავშირი უმასპინძლებს.

ამჯერად **ნაირა ნიჟარაძის** რამდენიმე ლექსი დავაგემოვნოთ.

ნათდება

ნათდება დილა ცვრიანი,
დალალებსხივოსნიანი,
სხვისი სამშობლო რად მინდა,
თუ გინდა იყოს მზიანი.
ჩემი მაქვს მაღალმთიანი,
ყვავილი შემამკობელი,
აქა დგას ჩემი სახლ-კარი,
აქა მყავს დედა მშობელი.

ისევ ათხაზეთისკენ

ნონა ძიაპშიპას

როგორც იქნა ჩამოხვედი,
ისევ იქით იჩქარი?
სიყვარული აქ იპოვე,
სად გარბიხარ, მითხარი!

გული ორად გაყოფილი,
ფეთქავს დანაფიფქარი,
იქ მტერია ჯავშნოსანი,
ისევ ჩვენთან იყავი.

ფულებს იხდი, იპარები,
გადალახე საზღვარი,
მშვიდობიან ადგილს ეძებ,
მშვიდობა კი აქ არი.

იქ მშობლების სახლი იდგა,
დარჩა მხოლოდ ქოხი და,
დედა-მამა ამოგიწვეს,
მიწა დარჩა ოხვრითა.

მარადმწვანე აფხაზეთი
ჩვენთვის ბუჩქი-შლილია,
კარდახშული საქართველოს
საყვარელი შვილია!

ელათის აკადემია

„ელათის აკადემია იყო მოძულურად სწავლულებისად ათინად წოდებული“. ქართლის ცხოვრება

ხეთა ჩრდილში
წყაროს პირას,
განა მარტო კლდენია,
თვლემს სუროში გახვეული,
ძველი აკადემია.

ნაცნობია ეს ხავსები,
სიო არხევს თელიანს,
ბაიებს და ყაყაჩოებს,
ყელი მოუღერიათ.

ამ ფერდობზე უნაზესი,
მშობლიური ფერია,
აუგიათ სალოცავი,
ვით ზღაპრული ფერია.

ამ კედლებში ასწავლიდნენ
სიბრძნესა და სიკეთეს,
„შენს სამშობლოს, ჭირგამოვლილს,
მოუარე, მიხედე“.

ვით მოხუცი, ვალმოხდილი,
ჩაუქრობი გენია,
თვლემს სუროში გახვეული,
ძველი აკადემია.

საქების ტაძარი

წამომართულა მნათობად,
რა ხელმა შექმნა ტაძარი,
მაღალი, ცამდე დამდგარი,
ვერას დააკლებს ავდარი.
შემოხვევია ბაღნარი,
მადლით მოსილი, ტურფანი,
აქ მეგულება სულთა მზე,
სავედრებელი უფალი.
ტაძრისკენ მივალ ნაღველით,
ბაღი მაქვს გამოსავლელი,
იქ ღმერთის სული მიმელის,
ხალხის იმედი, მფარველი.
დავდგები, კანდელს შევხედავ,
სანთელს ავანთებ ღაჟღაჟას,
ცრემლი მომცვივა ვედრებით,
წმინდა სიყვარულს დავხარჯავ.
ხალხი შემოდის გულდინჯად,
თვითონ უფალი აქ არის,
დგას ბუმბერაზი, ნათელი,
წმინდა სამების ტაძარი!

გითრგვინვის დღესასწაულზე

დღე იყო თბილი, მეტად მზიანი,
ვიდექით ერთად ღვინის ფიალით,
ჩვენი სიმღერა იყო ხმიანი,
ვადღეგრძელებდით ერთურთს სიამით.

ერთი სურვილი გვქონდა ქართველებს,
მრავალი სიტყვა დავაფრთიანეთ,
ყოველი დილა მშვიდად გათენდეს
და საქართველო გაერთიანდეს!

იმ დღეს ბიბლიოთეკაში

წიგნი და პოეზია უპირველეს ყოვლისა!

თბილისი 23-ე ბიბლიოთეკაში, მსახიობისა და პოეტის **ნიკო გომელაურის** შემოქმედებითი საღამო გაიმართა, რომელშიც მონაწილეობდნენ სკოლა-სტუდია **„არტ პლაზა“-ს** მოსწავლეები, თეატრალური უნივერსიტეტის რეჟისორ-პედაგოგი **თამარ ხიზანიშვილი** და მეტყველების **მასწავლებელი ირმა ფხალაძე**. ღონისძიება ბიბლიოთეკის კვირეულის ფარგლებში გაიმართა და მას ესწრებოდნენ სხვადასხვა ბიბლიოთეკების წარმომადგენლები და მკითხველები.

საღამოზე, ვრცლად ისაუბრეს **ნიკო გომელაურის** პოეზიაზე, ასევე, ბიბლიოთეკის მნიშვნელობაზე, ლიტერატურასა და წიგნის სიყვარულზე. ითქვა, რომ კომპიუტერული ტექნოლოგიების ეპოქაში წიგნს თავისი ღირებულება არ დაუკარგავს და იგი, უმთავრესი წყაროა ადამიანის განათლებისთვის.

„არტ პლაზა“-ს მოსწავლეებმა წაიკითხეს **ნიკო გომელაურის** ლექსები, წარმოადგინეს მინი-სპექტაკლი და ლიტერატურული კომპოზიცია: **„მე – ნიკო გომელაური“**. ასევე, მაყურებელს მოასმენინეს ნიკო გომელაურის პოეზიის აუდიო ჩანაწერი.

მოწვეულმა სტუმრებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ შემოქმედებითი საღამოების გამართვა ბიბლიოთეკებში ძალიან მნიშვნელოვანია, რათა ახალგაზრდები კიდევ უფრო დაინტერესდნენ და ამ საგანმანათლებლო ცენტრის ხშირი სტუმრები გახდნენ.

საგულისხმოა, რომ 23-ე ბიბლიოთეკის ხელმძღვანელის **მაყვალა თვარაძის** და მისი თანამშრომლების ინიციატივით, ყოველწლიურად იმართება შემოქმედებითი საღამოები და მსგავსი ღონისძიებები სამომავლოდაც გაგრძელდება.

მზია გოგოძე

გასწორება

26 აპრილის პუბლიკაციაში – **„ხედავს და აფასებს – ხედავენ და აფასებენ“** – გამოტოვებულია ხელოვნების 21-ე სკოლის თეორიული საგნების წამყვანი მასწავლებელი **ლალი ნადირაშვილი** და მისი ღვაწლისა და შემართების აღნიშვნა პედაგოგიურ ასპარეზზე, რისთვისაც ბოდიშს გიხდით.

ხსოვნა

თამარ ქობალიას მოსაგონარი

თბილისის მიწამ მიიბარა აფხაზეთიდან დევნილი პედაგოგი და ღვაწლმოსილი, ზნეკეთილი პიროვნება **თამარ ლეონტის ასული ქობალია**.

იგი დაიბადა 1926 წლის 14 მარტს. დაამთავრა **ოჩამჩირის** რაიონის **ახალი კინდღის** საშუალო სკოლა. 1944 წლიდან მასწავლებლობდა სოფელ კვიტოულის სკოლაში, ქართულს ასწავლიდა აფხაზ ბავშვებს, აქვე მუშაობდა მისი კოლეგა და თანაკლასელი ახალ კინდღში მეტად პოპულარული პიროვნება **თალიკო ფარცვანია**.

ქალბატონი თამარის ბიოგრაფიას ამშვენებს ასევე **წყურგილის** დაწყებით სკოლაში ნაყოფიერი მოღვაწეობა.

მისი აღზრდილებიდან უნდა ვახსენოთ ცნობილი ადამიანები: აფხაზი მწერალი **ბორის გურგულია**, განათლების ყოფილი მინისტრი **ივანე საძბა**, კავშირგაბმულობის ყოფილი უფროსი **გივი მიქავა** და სხვები.

ქალბატონ თამართან კვიტოულში პედაგოგად მუშაობდა შემდეგში განათლების სამინისტროს ამაგდარი მუშაკი, აფხაზური ენის სასკოლო სახელმძღვანელოს ავტორი და საბავშვო პოეტი **ჯოტო ტაბაღუა**.

თამარ ქობალია და **თალიკო ფარცვანია** აქტიურ კულტმასობრივ მუშაობას ეწეოდნენ სოფელ ახალ კინდღში, სიცოცხლე და ხალისი შეჰქონდათ მოსახლეობაში. მათ თანასოფლელები **„მაფშალიებს“** (ბულბულებს) ეძახდნენ.

საამაყო შვილი აღზარდა ქალბატონმა თამარმა. **ვალტერ სიჭინავა** დედის კვალს გაჰყვა, პედაგოგის პროფესია აირჩია და მშობლიურ სკოლაში ნაყოფიერად იღვაწა, როგორც ჩინებულმა პედაგოგმა მათემატიკისა და დირექტორის მოადგილემ, ხოლო დევნილობისას – **თბილისის 167-ე სკოლაში** დევნილთა სკოლის დირექტორი იყო. **თამარ ქობალია** კარგა ხანს კინდღის ჩაის ფაბრიკაშიც მუშაობდა. აქ თბილისში მყოფი კი ყოველდღე მშობლიურ სოფელში დაბრუნებაზე ოცნებობდა. **კინდღი** და **წყურგილე** იყო მუდამ მისი საოცნებო სახელი. მაგრამ ვაგლახ!..

აქ, თბილისის განსასვენებელში ნათელი დაგადგეთ, ქალბატონო თამარ!

ოჯახის სახელით: შვილი **ვალტერ სიჭინავა**, რძალი **სვეტლანა კოპალიანი**, შვილიშვილი **თამუნა სიჭინავა**, ნათესავ-მეგობრები, მეზობლები.

გაზეთ„სახალხოგანათლება+“-ის რედაქცია.

ვაგრძელებთ რუბრიკას: ახალგაზრდობა – იმედი ხვალის

დავით გოგია ქართული სპორტის ამომავალი ვარსკვლავი

სიმძიმეების აწევაში შეჯიბრება კაცობრიობის ისტორიაში უძველესი პერიოდიდან არის ცნობილი. ეგვიპტეში აღმოჩენილია კედლის მხატვრობა, სადაც გამოსახულია როგორ ეჯიბრება ერთმანეთს სიმძიმის აწევაში 3 მამაკაცი. მსგავსი სახის ასპარეზობა საქართველოშიც იყო გავრცელებული, ხოლო როგორც სპორტის სახეობა – ძალოსნობა ჩვენთან გასული საუკუნის დასაწყისიდან დაინერგა და ნელ-ნელა ვითარდებოდა. ეს არის პირველი სპორტის სახეობა, რომელიც ძალისმიერი ვარჯიშებიდან წარმოიშვა და ევროპის პირველი ჩემპიონატი 1896 წელს როტერდამში ჩატარდა, ხოლო 1925 წლიდან ოლიმპიური თამაშების პროგრამაში შეიტანეს, როგორც სპორტის ცალკე სახეობა. ამჟამად, ჩვენს ქვეყანას არაერთი წარმატებული სპორტსმენი ჰყავს, რომლებიც საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ მოღვაწეობენ.



სპორტსმენი **დავით გოგია** 1990 წელს ქალაქ ზუგდიდში დაიბადა. დაამთავრა სოფელ **რიყის** საშუალო სკოლა. ბავშვობაში ფეხბურთითა და ცეკვით იყო დაინტერესებული. 2004 წლიდან თავის მეგობართან ერთად, ძალოსნობაში ვარჯიში დაიწყო. სოფელში მისი მწვრთნელი **ბეჟან ჭიჭინაძე** იყო, ოლიმპიური მზადების ცენტრში კი – **ზურაბ ანთაური**. დასაწყისისთვის დატვირთვა დიდი არ იყო, მხოლოდ მოძრაობებს სწავლობდნენ, ტექნიკას ეუფლებოდნენ. ძალისმიერი ვარჯიშების განვითარების პროცესი მდიდარი და მრავალფეროვანია. სპორტსმენი ბევრ ილეთს ეუფლება. ამჟამად ძალოსნები ერთმანეთს ორ ვარჯიშში ეჯიბრებიან – ატაცი და აკვრა. პაუერლიფტინგსა და ძალოსნობაში სპორტული საშეჯიბრო იარაღი არის შტანგა, რომლის სიმძიმის დაძლევა განაპირობებს სწორედ სპორტსმენის წარმატებას.

პირველი წარმატება 17 წლის ასაკში იყო, როდესაც საქართველოს პირველობაზე გაიმარჯვა და ახალგაზრდულ ოლიმპიურ ნაკრებში მოხვდა. ოლიმპიური მზადების ცენტრში დაუღალავი შრომის შედეგად, 20 წლამდელთა საქართველოს ჩემპიონატიც





მოიგო და დიდებშიც გაიმარჯვა. 2009 წელს უკვე დიდების ნაკრებში აიყვანეს. იმავე წელს **შვედეთში** ევროპის ჩემპიონატზე 20 წლამდელთა ასაკში მე-5 ადგილი დაიკავა 94 კგ წონით კატეგორიაში. ატაცში 151 კგ ასწია, აკვრაში კი 182 კგ. ეს სპორტსმენის პირველი გასვლა იყო ქვეყნის გარეთ და მწვრთნელიც კმაყოფილი დარჩა, იმედი არ გაუცრუვდა. 2010 წელს ევროპის 20 წლამდელთა ჩემპიონატი **კვიპროსზე** ჩატარდა, 36 ქვეყანა მონაწილეობდა და **დავით გოგია** ბრინჯაოს პრიზიორი გახდა 105 კგ წონით კატეგორიაში (ატაცი – 163 კგ; აკვრა – 202 კგ). ამ ასაკის სპორტსმენთა შორის რეკორდი 217 კგ იყო.

2011 წელი წარმატებული იყო ქართველი სპორტსმენისთვის. 23 წლამდე ევროპის ჩემპიონატზე 3 მედალი აიღო: ატაცში – **ოქრო**, აკვრაში – **ვერცხლი** და ორჭიდში (ატაცსა და აკვრას უმატებენ ერთმანეთს) – **ბრინჯაო**.

ასევე 2011 წელს, საქართველოში წინაშესარჩევ ტურნირებში გამოდიოდა. მონაწილეობდა სალიცენზიო მსოფლიო ჩემპიონატზე საფრანგეთში და გუნდს 14 ქულა მოუტანა, რითაც თავისი წვლილი შეიტანა 2012 წლის ოლიმპიადის ლიცენზიის მოპოვებაში. ლიცენზიების მაქსიმუმი ექვსია, ქართველებმა კი 3 აიღეს. ამ ლიცენზიების მოპოვებას დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან რამდენსაც აიღებ, ოლიმპიადაზე იმდენი სპორტსმენი წავა. საქართველოდან 2012 წლის ოლიმპიურ თამაშებში 3 სპორტსმენი მონაწილეობდა – **გია მაჭავარიანი, რაულ ცირეკიძე** და **ირაკლი თურმანიძე**.

2013 წლის ევროპის ჩემპიონატზე დიდებში, **ალბანეთში**, **დავით გოგია** ბრინჯაოს მედლის მფლობელი გახდა (ატაცი – 183კგ; აკვრა – 218კგ).

2015 წელს ევროპის ჩემპიონატი თბილისში ჩატარდა და ქართველი სპორტსმენი მე-3 ადგილზე გავიდა (ატაცი – 185 კგ; აკვრა – 215 კგ).

საქართველოში დავითს მწვრთნელობისა და მსაჯობის გამოცდილებაც ჰქონდა, სხვადასხვა ახალგაზრდულ შეჯიბრებაზე.

ყველა სპორტსმენის მენის ოცნება მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში წარმატების მიღწევაა. 2016 წელს მსოფლიო ჩემპიონატი **აშშ-ში** ჩატარდა და ისიც საოცნებო ქვეყანაში ჩამოვიდა, სადაც კლუბურ შეჯიბრებებში მონაწილეობს. ძალოსნობის ამერიკულ კლუბში ქართველ ძალოსანთა მეგობრული გუნდი შეიკრა, ერთად ვარჯიშობენ, წარმატების სიხარულსაც ერთად იზიარებენ და თავისუფალ დროსაც ერთად ატარებენ. სპორტსმენებმა კარგად იციან, რომ წარმატებისთვის უნდა იბრძოლო და ძალიან ბევრი იშრომო, სხვაგვარად გამარჯვებას ვერ მოიპოვებ.

ძალოსნობა დიდ ფიზიკურ დატვირთვას მოითხოვს, ქართველთა პოტენციალი კი ამის შესაძლებლობას იძლევა, მითუმეტეს, რომ მიზანი ძალიან დიდია – ოლიმპიური თამაშები, რომელზეც **დავით გოგია** ჯერ არ ყოფილა. ვუსურვოთ, ახალგაზრდა სპორტსმენს ამ ოცნების ასრულება და შედეგით საქართველოს გულშემატკივრების გახარება.

ნათია გურგენიძე

მთ. რედაქტორი ბორის მიშველაძე

სახალხო განათლება+ № 10 (4549)
10 მაისი, 2017 წელი
გაზეთი გამოდის 1928 წლიდან

რედკოლეგია

ზურაბ ქობალია (თავმჯდომარე) 599 34-37-27; ნათელა ქიმერიძე 595 58-45-72; ბორის მიშველაძე 555 59-60-50; რომან მოსეშვილი 599 34 41 41; ნათია გურგენიძე 593 42-22-58; ეკა მამუკაშვილი 557 20-85-04

ელ-ფოსტა: saxgani@gmail.com
ტელ: (0 32) 2 99 80 00
(032) 2 98 48 07; (032) 2 99 63 52

ISSN 1987-9113